# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 ოქტომბერი 2006 №242 (2864) ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# არაკრიმინალური ქარცვა ლონდონში



AFP ლონდონიდან




# ქერა ფინალი შავგვრემან ქალაქში





## НЕ ГРУЗИТЕСЬ ГРУЗИЕЙ!

### ჩამოვიდნენ რუსი ბავშვები, ითამაშეს, თავისი გააკეთეს და მშვიდად წავიდნენ. აბა, ქართველი ბიჭები დაიჩაგრნენ, თუ დაიჩაგრნენ

ყველა წაგება გულდასაწყვეტია, მაგრამ ორმაგად საწყენი ის მარცხია, როდესაც გრძნობ, რომ მეტოქეს სჯობიხარ და ნაწილობრივ უიღბლობა, ნაწილობრივ მსაჯი გიდებს სარმას. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა სწორედ ასე წააგო რუსეთთან და გერმანიასთან, გუშინ კი ბოლნისში მაკედონიელი თანატოლები 5:0 გაანადგურა, რითაც ჯგუფში მესამე ადგილი ირგუნა.

ჯგუფის გამარჯვებული კი გერმანიაა, გუშინ „მიხეილ მესხზე" 3:1 რომ მოუგო მე-7 წუთიდან ათი კაცით მოთამაშე რუსებს, რომლებიც ბოლოს ცხრანი დარჩნენ. არადა, რუსი ჭაბუკები იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში გერმანული მანქანა ჩაირთო, ერთი საეჭვო პენალტიც დაინიშნა და... რუსებს მაინცდამაინც არ უნდა ეწყინოთ — მეორე ადგილითაც გავიდნენ ჯგუფიდან...

# ძალოსნებმა ოლიმპიური სიმშვიდე დაკარგეს

### გუნდის ხერხემალი საოპერაციოა




საქართველოს ძალოსანთა ნაკრების ლიდერი არსენ კასაბიევი შტანგას, სულ ცოტა, ნახევარი წელი ვერ გაეკარება. ქართული სპორტის ერთ-ერთ ოლიმპიურ იმედს ხერხემლის ტრავმამ ახლახან მსოფლიოს ჩემპიონატი გამოატოვებინა და ლამის ერთთვიანმა მკურნალობამაც შედეგი ვერ გამოიღო. გუშინ კი ძალოსანთა ნაკრების თავკაცმა ვანო გრიქუროვმა სამწუხარო ამბავი გვაცნობა — არსენი საოპერაციოაო.

კასაბიევს ოპერაციას ნოემბრის დამდეგს უცხოეთში გაუკეთებენ. კონკრეტულად როდის და სად, უახლოეს დღეებში გაირკვევა. ფიცარნაგს კი კასაბიევი, სავარაუდოდ, 2007 წლის შემოდგომაზე, მსოფლიოს ჩემპიონატზე დაუბრუნდება, თუ ოპერაციამ და სარეაბილიტაციო პერიოდმა კარგად ჩაიარა...

ჩვენი ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი გია ნემსაძე, ვისაც ნაკრებში ყველაზე მეტი, 69 მატჩი უთამაშია, თბილისის საკრებულოს წევრი გახდა 5 ოქტომბერს გამართული არჩევნებით. ნემსაძე ახლა უფრო პოლიტიკაშია გადართული, თუმცა მას მაინც ფეხბურთზე ვესაუბრეთ



# ნაკრებს გერმანულობა ეტყობა

## ნაციონალი ნემსაძე: ხელისუფლება ხალხის მოთხოვნას ასრულებს

— ფეხბურთში ახლა უწინდელივით არ ვარ ჩართული. ჩემთვის ყველაზე რთული და უპირველესი ამოცანა ამ ეტაპზე ნაძალადევში პრობლემების აღმოფხვრაა — მე ხომ ამ რაიონიდან ამირჩიეს საკრებულოში. ამ პრობლემებს რომ მოვერიო, უწინდელზე უფრო მეტი დრო და ენერგია უნდა დავხარჯო.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ფეხბურთში საერთოდ აღარ საქმიანობთ?**

— საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ და აგენტის ლიცენზიაც მაქვს.

**— როგორც პოლიტიკოსი, ფეხბურთში რა მიმართულებით აპირებთ მუშაობას? ნაძალადევის რაიონში ქალაქის მერიის პროგრამით გათვალისწინებულზე უფრო მეტ მოედნის აშენებას ხომ არ აპირებთ?**

— ჩემი ძალებით უკვე ავაშენე მოედნები თემქასა და სანზონაში, რადგან მერიის მოედნების ლიმიტი უკვე ამოწურული იყო.

**— საკრებულო არ აპირებს სახსრების გამოყოფას მოედნების ასაშენებლად ან სხვა საფეხბურთო პროექტებისთვის?**

— ახლა საკრებულოში ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობს და ეს ამ დროისთვის უმთავრესი საკითხია. მოედნების აშენებისა თუ სხვა საფეხბურთო პროექტების ხარჯებს ბიუჯეტში ვერ ჩავსვამთ, ყველანაირად ხელს შევუწყობთ ფეხბურთის განვითარებას ნაძალადევის რაიონში.

**— საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ხართ, თუმცა ამავე დროს „ნაციონალური მოძრაობის" წევრიც — რა აზრის ხართ იმაზე, რომ ნაკრების მწვრთნელების ჯამაგირისთვის ფულს სახელმწიფო იხდის?**

— მთავრობამ მხარი დაუჭირა იმ ხალხს, ვინც საქართველოს ნაკრებისთვის ცნობილ უცხოელ მწვრთნელს ითხოვდა. შეიძლება ითქვას, ხელისუფლებამ ამით ხალხის მოთხოვნა შეასრულა.

**— შარშან თქვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი იყავით — პრეზიდენტი რომ გამხდარიყავით, ნაკრების სახელიანი მწვრთნელისთვის საჭირო თანხას ხელისუფლების დახმარების გარეშე იშოვნიდით?**

— იმედი მქონდა, რომ საამისო თანხას ვიშოვნიდი.

**— მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლების მიერ გამოყოფილი მილიონები სწორად იხარჯება?**

— ამ საკითხზე კომენტარს არ გავაკეთებ. კრიტიკა ყოველთვის იოლია და თანაც არ ვიცი, ნაკრებებში რა სამუშაოები მიდის. ჩემი ნება რომ იყოს, ხელისუფლების მიერ გამოყოფილი თანხის ნაწილს ნაკრების უცხოელი მწვრთნელის ხელფასს მოვახმარდი და ნაწილს — ბავშვთა ფეხბურთს. „გრასჰოპერის" მენეჯერი ერიკ ფოგელი ფიფამ აფრიკაში გაუშვა, რათა იქ ფეხბურთის პოპულარიზაციაზე ემუშავა და თან გაეკონტროლებინა ის, რომ ფიფას მიერ აფრიკაში ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილი ფული მიზნობრივად დახარჯულიყო. მსგავსი რამ საქართველოშიც უნდა მოხდეს.

**— როგორ ფიქრობთ, კლაუს ტოპმიოლერმა რა სიახლე შემოიტანა საქართველოს ეროვნული ნაკრების თამაშში?**

— მოკლე დროში მნიშვნელოვანი ცვლილებების განახორციელება ძნელია. მწვრთნელი ნდობას უნდა გრძნობდეს და მუშაობის ხანგრძლივი საშუალება უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, ჩვენს ნაკრებს გერმანელი სპეციალისტის ხელი უკვე ეტყობა — გუნდს უფრო მეტი გუნდური სული აქვს, ისეთი, გერმანულ გუნდებს რომ ახასიათებთ.

**დავით თავართქილაძე**

# გამოძიება იწყება

**გუშინდელ** „სარბიელში" ქართულ ფეხბურთში ბოლოხანს მომხდარ უსიამოვნო, ცოტა არ იყოს, სკანდალური ელფერის მქონე ამბებზე გავამახვილეთ ყურადღება.

ერთი ამბავი ბათუმში, ჭაბუკთა ლიგის „ბათუმი" — „ამერის" შეხვედრისას იყო: როგორც ერთ-ერთი ამერელი ფეხბურთელის მშობელი ამბობს, იმ შეხვედრის არბიტრმა პაატა დოგრაშვილმა სადავო ეპიზოდისას ჭაბუკ ამერელთა პროტესტს ასეთი სიტყვებით უპასუხა: „ჯერ სად ხართ!"

დაგვეთანხმებით, მოუზომლად ბოღმიანი სიტყვებია.



მეორე ამბავი წინა შაბათის უმაღლესი ლიგის „ბორჯომი" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩიდანაა: როგორც ვიტჯორჯიელი ნახევარმცველი პაატა დათუნაიშვილი ამბობს, ბორჯომის სტადიონის ტრიბუნაზე მისი საცოლე და თანაგუნდელ ნიკა გელაშვილის მეუღლე ისხდნენ და ბორჯომელმა ქომაგებმა მათ სიტყვიერ-ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ფეხბურთელმა ნერვები ვერ მოთოკა, ტრიბუნისკენ საპასუხო გინებით გაიწია და ამისათვის არბიტრმა მოედნიდან გააძევა.

დღეს ამ ორ ამბავს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის უფროსთან ამირან კაჭახიძესთან ინტერვიუთი ერთხელაც გამოვეხმაურებით, საქმეს კი მერე და მერეც მივყვებით და თუ რა რეაგირება ექნება ფეხბურთის ფედერაციას ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, გაცნობებთ.

*ამირან კაჭახიძე.* ბათუმში რა და როგორ მოხდა, ამის დასამტკიცებლად მხოლოდ მშობლის სიტყვები არ გამოდგება, რადგან იურიდიულად მშობელი დაინტერესებული პირია. ჩემთვის ძალიან ძნელად დასაჯერებელია, რომ თავის დროზე ფიფას არბიტრმა პაატა დოგრაშვილმა ბავშვებს უთხრა: ჯერ სად ხართ! თუ ეს მან მართლაც თქვა, პირობას გაძლევთ, დოგრაშვილი ასეთი უმსგავსობისთვის უსასტიკესად დაისჯება. ჩვენ ამაზე ადეკვატური რეაქცია გვექნება. თუმცა, ვიმეორებ, ეს ამბავი ჯერ კიდევ დასამტკიცებელია და საქმის გარკვევას უახლოეს მომავალში შევუდგებით. თანაც, კარგი იქნება, თუ „ამერი" ამის თაობაზე ოფიციალური წერილით მოგვმართავს. საქმეში უკეთ გასარკვევად თანამშრომლობას ჟურნალისტებსაც გთავაზობთ.

— დოგრაშვილი კეთილსინდისიერი და თბილი ადამიანია, თუმცა ბოლო დროს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, ახლახან ის ორი მატჩით დავსაჯეთ, შემდეგ ერთი-ორი საყვედურიც ვუთხარით და ახლა, ასე ვთქვათ, ჩავარდნა აქვს. თუმცა ფრთხილაც გეტყვით, თქვა თუ არა დოგრაშვილმა „ჯერ სად ხართ!", დამტკიცება უნდა. ერთი ხელის მოსმით მსაჯს ვერ დავსჯით, ხოლო თუ დავრწმუნდებით, რომ დოგრაშვილმა ეს თქვა, ის სხვებისთვის სამაგალითოდ დაისჯება და ამ ამბავს მსაჯთა კომიტეტი განიხილავს.

...ბორჯომის სტადიონზე მომხდარზე კი მოკლედ გეტყვით: თუ ტრიბუნაზე გოგონებს მართლაც დაარტყეს, ეს უკვე კრიმინალია და ჩვენს კომპეტენციას სცილდება. ხოლო პროფესიონალ ფეხბურთელს, ტრიბუნაზე რაც უნდა ხდებოდეს, მოედნის დატოვების უფლება არ აქვს და თუ მაინც ასე აკეთებს, მსაჯი მას აძევებს. იმ შეხვედრისას არბიტრი სწორად მოიქცა. მესმის, ძნელი მოსათმენია, როცა გესმის, როგორ გიგინებენ ტრიბუნაზე მეუღლესა თუ საცოლეს, მაგრამ მაინც დაუშვებელია, ფეხბურთელმა ტრიბუნისკენ გაიწიოს. იქ წესრიგი პოლიციამ უნდა დაამყაროს. ფეხბურთელებსა და მსაჯებს მოედანზე თავისი საქმე აქვთ, პოლიციასა და ქომაგს — თავისი. თუმცა, ვიმეორებ, თუ ტრიბუნაზე ქალებს ხელით შეეხნენ, ეს უკვე კრიმინალია და სამსაჯო კომიტეტის კომპეტენციას სცილდება.

*შევიტყვეთ, რომ ფედერაცია და პროკურატურა ამ ამბების გამოძიებით უკვე დაინტერესდნენ და საქმესაც შეუდგნენ. ვნახოთ, გაგრძელება კიდევ უფრო საინტერესო უნდა იყოს...*

**კობა ინასარიძე**

# უეფამ ახალგაზრდობა გაიხსენა

**მოლოდინისამებრ,** უეფა ევროპის 2007 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ახალმა ფორმატმა არ დააკმაყოფილა და იგი ისევ შეცვალა. მომავალ, ევრო 2009-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაკრებები ჯგუფებში გადანაწილდებიან, რომელთა რაოდენობაც მონაწილეთა რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. თითოეულ ჯგუფში მინიმუმ ხუთი და მაქსიმუმ ექვსი გუნდი იქნება. მატჩები კი ძველებურად, ორ წრედ ჩატარდება.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ პლეი ოფები გაიმართება, სადაც ჯგუფების გამარჯვებულები, მეორეადგილოსნები და საუკეთესო მესამეადგილოსნები შვიდ წყვილს შექმნიან. მათ შორის გამარჯვებული შვიდი საუკეთესო ნაკრები და ჩემპიონატის მასპინძელი ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ.

მომავალ საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაკრებებს ბოლო ორი წლის შედეგების მიხედვით განთესავენ.

**გიორგი ძაძამიძე**

# საქართველო ასეულის წკიპზეა

**საქართველოს** ნაკრებმა სექტემბერ-ოქტომბერში მიჯრით ოთხი მატჩი წააგო და მართალია, ოთხივე გრანდებთან, მაგრამ „ფიფა-კოკა-კოლას" რეიტინგში ხუთი პუნქტით დაქვეითდა. კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოში ჩამოსვლისას თქვა, ჩემი მუშაობის პერიოდში ნაკრები რეიტინგის 50-ეულში უნდა ავიყვანოო, მაგრამ ჯერჯერობით, ამას ვერ ახერხებს — საქართველოს ნაკრებმა ურუგვაისთან სანოემბრო ამხანაგური მატჩიც თუ წააგო, სავარაუდოდ, ასეულს ქვევით ჩაჩოჩდება.

რეიტინგს კი კვლავ ბრაზილია ყოჩობს, ხოლო ჩვენი თანაჯგუფელები — საფრანგეთი და იტალია, მეორე-მესამე ადგილზე არიან.

**ილია ნანობაშვილი**

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 1560 | 13 | 13 | უკრაინა | 1054 |
| 2 | 5 | იტალია | 1540 | 17 | 15 | ურუგვაი | 903 |
| 3 | 2 | საფრანგეთი | 1483 | 25 | 34 | შოტლანდია | 810 |
| 4 | 3 | არგენტინა | 1446 | 70 | 67 | ლიტვა | 455 |
| 5 | 4 | ინგლისი | 1370 | 98 | 93 | *საქართველო* | 302 |
| 6 | 8 | გერმანია | 1339 | 185 | 179 | ფარერები | 31 |
| 7 | 6 | ჰოლანდია | 1313 | | | | |
| 8 | 7 | ჩეხეთი | 1253 | | | | |
| 9 | 9 | პორტუგალია | 1224 | | | | |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა



# უმოკლესი გზა გამოუყენებულია?

## მოძველებული სტერეოტიპები



**კლაუს ტოპმიოლერი საქმეს ახლებურად შეუდგება — ამის სიმპტომები ფეხბურთის ფედერაციაში გუშინწინდელ სხდომაზეც გამოჩნდა — ტოპი და ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელები დროულად მიხვდნენ, რომ ცვლილებებია საჭირო. ჯერჯერობით საქმეს ასეთი პირი უჩანს...**
**საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი ეროვნულ ჩემპიონატს ცოტა ალმაცერად თუ უყურებდა, ახლა ყველაფერი სხვანაირადაა — ტოპმიოლერი 12 ნოემბერს უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის მთავარი მწვრთნელის თავმოყრას და მათთან შეხვედრას აპირებს — ასეთი წამოწყების პერსპექტიული მიზანი კი მწვრთნელთა საბჭოს შექმნაა, რომელმაც ტოპმიოლერს საქმე უნდა გაუადვილოს — ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზე დაკვირვება და სელექცია უფრო ეფექტური უნდა გახადოს...**

ტოპმიოლერი უთამაშებელ ლეგიონერებს ამჯობინებდა საქართველოს ჩემპიონატში რეგულარულად მოთამაშე ფეხბურთელებს, რაშიც, რა თქმა უნდა, ლოგიკაც არის — ვინც ლეგიონერია, ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოს ჩემპიონატში და ამიტომ მოახერხა უცხოეთში წასვლა. ტოპმიოლერს ალბათ ისიც ჰგონია, ან ეგონა, რომ ლეგიონერი აქ მოთამაშე ფეხბურთელზე უკეთესადაა მომზადებული ტაქტიკურადაც და ფიზიკურადაც.

ჰოდა, მივყვეთ თემას. ოთარ მარცვალაძე კიევის „დინამოს" ფეხბურთელია და სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. მარცვალაძემ ერთიორი რეიდით გამოიჩინა თავი 7 ოქტომბერს გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში და ტოპმიოლერი მას ოთხი დღის შემდეგაც ენდო იტალიასთან. როგორ ითამაშა „აძურასთან" 22 წლის მარცვალაძემ, ეს ერთია, მაგრამ მეორე ისაა, რომ მეორე ტაიმში ის მხნედ და ქორფად ველარ გამოიყურებოდა — სტერეოტიპი კიევის „დინამოში" განსაკუთრებულ ფიზმომზადებაზე ალბათ ძალიან მოძველებულია. ვფიქრობთ, მარცვალაძე ფიზიკურად „ვიტ ჯორჯიაშიც" მოემზადებოდა ისე, როგორადაც მან იტალიასთან წარმოაჩინა თავი.

გიორგი შაშიაშვილი — ოდესის „ჩერნომორეცის" ძირითადში ჯერ ვერდამკვიდრებულმა ფეხბურთელმა ერთობ მოხდენილი გოლი გაუტანა მსოფლიოს ჩემპიონებს. ახლა კი ის გავიხსენოთ, თუ როგორ გაიტანეს მეორე გოლი იტალიელებმა — დი ნატალემ მარცხნიდან ჩააწოდა და მარჯვნიდან ცენტრში გადმონაცვლებულმა კამორანეზიმ თავით შეაგდო. კამორანეზი შაშიაშვილის ზონაში იყო გამწესებული და როცა ფლანგიდან შუისკენ დაიწყო მოძრაობა, შაშიაშვილი მას არ გაჰყვა, გიორგი თავის ფლანგზე დარჩა, შედეგად, ცენტრში გადასულ კამორანეზის არავინ მეურვეობდა. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა და კამორანეზის მეურვედ უფრო სახელიანი ფეხბურთელი რომ ჰყოლოდა, შესაძლოა, მაინც გაეტანა გოლი, მაგრამ ტაქტიკურად კარგად მომზადებული მეურვე იტალიელს აუცილებლად დაედევნებოდა.

ვფიქრობ, ეს ყოველივე არ არის მხოლოდ ჟურნალისტის სუბიექტური მოსაზრება. უბრალოდ, დღეს ასე თამაშობენ ფეხბურთს, ასე მოქმედებენ განაპირა მცველები და ტრიბუნიდან თუ ტელეეკრანიდან ეს იოლი ალსაქმელია, ხოლო როცა მოედანზე ხარ, იქ უკვე ის ალღოა საჭირო, რაც პრაქტიკით უნდა გამოიმუშავო და რაც მაღალი დონის მწვრთნელთან მუშაობითაც მოდის.

ტოპმიოლერმა იტალიასთან კიდევ ერთი უთამაშებელი ლეგიონერი ათამაშა — ცენტრფორვარდი მიხეილ აშვეთია ჯიგრიანად გაისარჯა, მაგრამ ერთხელაც ვერ დაარტყა კარში ან კარისკენ, ვერც მწვავე პასები გაახერხა მეტოქის საჯარიმოში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაშიც ტოპმიოლერმა არა მხოლოდ გამოცდილების გამო ამჯობინა აშვეთია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის რომელიმე ფორვარდს — ლეგიონერის უკეთესი ტაქტიკურ-ფიზიკური მომზადებისა სჯეროდა. აშვეთიაც მეორე ტაიმში აშკარად მოიქანცა და შეცვალეს.

და მეკარე — საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა. ძალიან ძნელი განსაჭვრეტია, როგორ მოაგვარებს ამ პრობლემას ტოპმიოლერი. ერთი შეხედვით, მომწიფდა საქართველოს ნაკრებში უცხოელი, ნატურალიზებული მეკარის მოწვევის საკითხი, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ეს ამ ეტაპზე? რამდენიმე უცხოელ კოლეგას დავუკავშირდით, მათ შორის გერმანელსაც და საზღვარგარეთული ცნობები ასეთია — უცხოელი მეკარე, სულ მცირე, ორი წელი უნდა თამაშობდეს საქართველოში, რათა ფიფამ მას საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება მისცეს; უცხოელ მეკარეს თუ ქართველი წინაპრები ჰყავს, მის ნატურალიზებას ესეც გააადვილებს; არ არის აუცილებელი, უცხოელ მეკარეს ორი წელი ჰქონდეს ნათამაშები საქართველოში, წელიწადი და რამდენიმე თვეც საკმარისია.

და რომელია სწორი პასუხი? უმოკლესი გზა უზუსტესი პასუხისთვის ალბათ ასეთი უნდა იყოს — თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ოფიციალურად მიმართავს ფიფას ამ საკითხზე, ფიფამ პასუხი არ უნდა დაუგვიანოს მისივე წევრ ორგანიზაციას.

**დავით თავართქილაძე**

# ფრთხილად, წინ საქართველოა!

## შოტლანდიელები შოთას ვერ ივიწყებენ და უფრთხიან

**ევრო 2008-ის** შესარჩევი ეტაპი საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე შოტლანდიამ შესანიშნავად დაიწყო. ზედიზედ სამი მოგებული შეხვედრის შემდეგ სქოთებმა მხოლოდ უკრაინაში წაიფორხილეს და ჯგუფიდან გასვლის რეალურ შანსს ინარჩუნებენ. შოტლანდიელებმა ბოლო წარუმატებლობები დაივიწყეს და იმედი აქვთ, რომ უსიამოვნო ტრადიციას ამჯერად დაარღვევენ.

ბრიტანული პრესაც თამამად ალაპარაკდა გუნდის შანსებზე და ძირითად კონკურენტებად საფრანგეთის, იტალიისა და უკრაინის ნაკრებებს მიიჩნევს. გაზეთი DAILY RECORD თვლის, რომ ლიტვისა და საქართველოს ნაკრებების ჯგუფიდან გასვლის შანსი უმნიშვნელოა, თუმცა ფეხბურთელებს მათთან იოლ გასეირნებაზე ფიქრს არ ურჩევს. განსაკუთრებით საქართველოს უფრთხიან.

„ჩვენი მომავალი მეტოქე საქართველოს ნაკრებია. ქართველებმა ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგეს, მაგრამ მათთან იოლ გასეირნებას ნუ ელით. არ დაგვავიწყდეს, რომ მათ ჰყავთ შოთა არველაძე, ვისი თამაშიც ყველას კარგად გვახსოვს. ორი წლის წინ შოთა შოტლანდიის პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო. ის ძალიან საშიშია. არველაძე კარგად იცნობს შოტლანდიურ ფეხბურთს. ჩვენ კი დისკვალიფიკაციის გამო ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერი და თავდამსხმელი ჯეიმს მაკფადენი დაგვაკლდებიან. ასეთ დროს ქართველებისგან სიურპრიზები მოსალოდნელია" — აღნიშნავს გაზეთი.

აქვე ვთქვათ, რომ შოტლანდია — საქართველო გაისად მარტში გაიმართება. მანამდე საკმაო დროა, თუმცა ბრიტანელები საკუთარ თავს ერთი წუთითაც არ აძლევენ მოდუნების უფლებას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ევრო 2007. პირველი შესარჩევი ეტაპი

# უცნაურობათა კასკადი

## გერმანიამ რუსეთს სენსაცია არ აცალა



ერიკ ტაპისიერის გერმანიამ პირველი ადგილი არავის დაუთმო

თბილისი. „მიხეილ მესხი“. 15 საათი. 300 მაყურებელი

**რუსეთი 1:3 გერმანია**

1:0 გრიგორიევი (13), 1:1 ტაპისიერი (55), 2:1 ფუნკი (64პ), 3:1 კროოსი (90)

რუსეთი: მანევი, ვავილჩენკოვი (ჩეკმარიოვი 66), კოჟევნიკოვი, დმიტრიევი, კამბოლოვი, პერეპელიუკოვი, კუდრიავცევი (პეტროვი 47), მიაკინკინი, ძაგოევი, შუმილინი, გრიგორიევი (სმოლოვი 53)

სათადარიგონი: კობოზევი; ვიონოვი, ბურლაკი, დედკინი

მწვრთნელი: ანდრეი ტალალაევი

გერმანია: ვოლატი, ევერსი, ტეიშეირა, პაშანი, ფუნკი (მაიერი 75). კროოსი, დოვიდატი, გიოტცი, რაუში, უნჩი (ბიგალკე 62), ტაპისიერი (ვოლცი 73)

სათადარიგონი: გიფერი; შტადლერი, ზაურბიერი, კნოლი

მწვრთნელი: პაულ შომანი

გაფრთხილება: კროოსი (14), სმოლოვი (56), პეტროვი (59) პერეპელიუკოვი (76), მიაკინკინი (88), სმოლოვი (90)

გაძევება: კამბოლოვი (7), სმოლოვი (90)

მსაჯები: ტ. ვეილგაარდი (დანია)

**64-Ე ᲬᲣᲗᲖᲔ** გერმანელებმა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო ჩააწოდეს და ალბათ მხოლოდ დანიელმა მსაჯმა იცის, რატომ დანიშნა პენალტი... კაპიტანმა პატრიკ ფუნკმა 11 მეტრიდან ზუსტად დაარტყა და გერმანია 2:1 დაწინაურდა.

ორივე გუნდმა ნაადრევად გაინალდა ჯგუფიდან გასვლა, თუმცა ისეთი ბრძოლა გაუმართეს ერთმანეთს, თითქოს ჯგუფის კი არა, ევროჩემპიონატის ფინალი ყოფილიყო. „მიხეილ მესხზე“ აქა-იქ გაისმოდა გერმანული და რუსული შეძახილები. თუმცა უცხოტომელების გარდა ქართველი ქომაგებიც აქტიურობდნენ — დაახლოებით 15-20 გოგო-ბიჭი „დოიჩლანდ, „დოიჩლანდის“ ძახილში დაიღალა. მაყურებელთა სიმპათიას კი, განსაკუთრებით, სამარქაფოდ დარჩენილი და გაჭირვების დროს შეცვლაზე შესული საშა ბიგალკე იხვეჭდა, ვინც სულ 20 წუთი გაატარა მინდორზე, მაგრამ ქურციკივით სირბილით და ფინტებით ცხრაპირი ოფლი ადინა რუსებს.

უცნაურად კი დაიწყო თამაში: უკვე მე-7 წუთზე რუსლან კამბოლოვმა წაქცეულ გერმანელს ფეხი ჩაარტყა და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები 10 კაცით დარჩნენ, მაგრამ თითქოს ამას ელოდნენო, მალევე მაქსიმ გრიგორიევმა კარიდან გამოსულ რენე ვოლატს თავზე გადააფრინა ბურთი — 1:0.

რუსები არც ამის შემდეგ მოშვებულან, მოედნის ცენტრში უპირატესობას დაეუფლნენ და გერმანიას ძალიან უჭირდა მათ საჯარიმომდე მისვლა. 25-ე წუთზე ალან ძაგოევის თავური პირდაპირ ვოლატს მიუვიდა ხელებში, გერმანელთა ლაღლაღა შეტევები კი ტაიმის ბოლოს ვნახეთ — სწრაფმა ერიკ ტაპისიერმა ჯერ რუსთა მეკარე სტანისლავ მანევს ვერ აჯობა, მერე კი ხელსაყრელი ადგილიდან ააცილა.

შესვენების შემდეგ რუსებმა თავიანთ ნახევარზე დაიბუდეს, გერმანიამ ტემპს უმატა, ფლანგებიც მაგრად აამუშავა და მანევს ორჯერ დასჭირდა თავის გამოჩენა — ჯერ ფუნკის, მერე კი დარიუშ უნჩის დარტყმების შემდეგ.

და მაინც, 56-ე წუთზე ტაპისიერმა ლრიჭო მონახა რუსთა დაცვაში, მანევს პირისპირ შეეყარა, მოატყუა და... 1:1 უკვე ის ანგარიში იყო, რომელიც გერმანიას ჯგუფში პირველ ადგილზე გაიყვანდა.

მერე იყო (რბილად რომ ვთქვათ) საეჭვო პენალტი, რამაც თამაში უფრო დაძაბა და მსაჯსაც მალმალე უხდებოდა ჯიბისკენ ხელის წალება. საშა ბიგალკე ფხიანად შემოვიდა შეცვლაზე, ხან ერთი მხრიდან ატყუებდა მცველებს, ხან მეორედან და გოლიც გამოადნო — ბოლო წუთზე ერთ-ერთი ასეთი ფინტაობის შემდეგ თავზე დაასვა ბურთი ტონი კროოსს, რუსთა მეკარეს კი ბურთი ხელიდან გაუვარდა და — 1:3.

**ილია ნანობაშვილი**

# ესენგეში სერბეთის შესულა

## დიდი შანსია, სიონმა მოსკოვი იუაროს

**ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ** თასის მე-15 გათამაშება 20 იანვარს დაიწყება და სიახლე ის იქნება, რომ მასში პირველად ითამაშებს არაპოსტსაბჭოური კლუბი — სერბეთის ოფკ ამ ტურნირის მუდმივ მონაწილე რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს შეცვლის.

ჩვეულებრივ, მოსკოვის დარბაზებში 16 გუნდი იბურთავებს, ოღონდ უკვე ცნობილია, რომ მათ შორის არ იქნება სომხეთის „პიუნიკი“: ერევნელებმა წინა ტურნირზე აზერბაიჯანული „ნეფჩისთან“ თამაშზე უარი თქვეს, რის გამოც ერთი წლით დაისაჯნენ. „პიუნიკის“ ნაცვლად, სომხეთიდან სხვა გუნდი ჩავა მოსკოვში.

საქართველოს ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ კი თანამეგობრობის თასზე პირველად ითამაშებს, თუმცა... შეიძლება, არც ითამაშოს. როგორც „სიონში“ გვითხრეს, კლუბმა მონაწილეობაზე თანხმობა რამდენიმე თვის წინ კი გააგზავნა, მაგრამ დიდი შანსია, საქართველო-რუსეთის შორის გართულებული ურთიერთობის გამო ბევრი რამ შეიცვალოს.

**ილია ნანობაშვილი**

# ისევ ორნიშნა

**„ᲜᲝᲠᲩᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘᲡ“** 15-წლამდელთა გუნდმა ისევე დაასრულა ბრაგინის მემორიალი, როგორც დაიწყო — თბილისელებმა მეშვიდე ადგილისთვის მატჩში ბელარუსის ნაკრებთან 1:11 წააგეს და ბოლო, მერვე ადგილზე გავიდნენ.

„ნორჩმა დინამოელმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქურიძე, გაჩეჩილაძე, ტანიაშვილი (გამისონია 70), საბაური, მერეჩკო (ჩიტაშვილი 57), შლიმანოვი (მამაცაშვილი 41), ელიზბარაშვილი (სულაძე 70), ებრალიძე (გოგიძე 52), ჩიხლაძე, დიასამიძე, კურტანიძე.

ჩვენებურთაგან გოლი დიასამიძემ გაიტანა...

**ლუკა თალაკვაძე**

# საქართველომ ნავსი და მაკედონია გატეხა



**ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ** ციკლის ბოლო, არაფრისმომცემ მატჩში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა 5:0 მიანგრია მაკედონია და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

შეხვედრა ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ ჩატარდა და ქართველთა სრული უპირატესობით წარიმართა. ჩვენიანთაგან თავი შონიამ (ორჯერ) და ჯოხაძემ (სამჯერ) გამოიჩინეს.

ჰერბერტ ცანკერის გუნდს წინა მატჩში, გერმანიასთან გაძევებული ლიდერი ლევან ყენია აკლდა, თუმცა ამის მიუხედავად, ქართველებს მაკედონიასთან პრობლემები არ შექმნიათ.

შეხვედრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელებიც დაესწრნენ.

**კახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 6:3 | 3 |
| მაკედონია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:18 | 0 |

# მუჯირს რუსეთისთვის მილანიც ამზადებდა

*სამარაში სპორტული ფირმის, LOTTO-ს მაღაზია გაიხსნა, რომლის პრეზენტაციაში მონაწილეობა „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელებმაც მიიღეს. ანდრეი გუსინთან, ალექსეი მედვედევთან და მარკო ტოპიჩთან ერთად ეს პატივი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲣᲯᲘᲠᲡᲐᲪ ერგო. „მუმუმ“ ავტოგრაფებიც დაარიგა და ჟურნალისტების ყურადღებაც ერგო...*



— მიზეზთა გამო სამარაში სამი კვირა არ ყოფილხართ...

— ტრავმის მიუხედავად საქართველოს ნაკრების შეკრებაზე მაინც ჩავედი. მწვრთნელს იმედი ჰქონდა, რომ იტალიელებთან თამაშს შევძლებდი. გუნდთან ერთად გერმანულ შეკრებაზეც გავემგზავრე და ნაკრების ექიმებთან ვმკურნალობდი. კახა კალაძეს მიკროტრავმა აწუხებდა და მასთან ერთად ჩამოსულ მილანელ ფიზიოთერაპევტსაც გავესინჯე. მატჩის წინ გაირკვა, რომ თამაშს ვერ შევძლებდი, არადა, მწვრთნელისა და გულშემატკივრის გაწბილება არ მინდოდა — რადგან გუნდს მოედანზე ვერ ვეხმარებოდი, ბიჭების მხარდასაჭერად თბილისში დავრჩი.

— გამოდის, სამარაში თბილისიდან ჩამოფრინდით. პოლიტიკური სიტუაციის გამო პრობლემები ხომ არ შეგქმნიათ?

— თბილისში ამ მხრივ სიწყნარეა. ახლანდელ სიტუაციაზე რუსეთში ბევრი არასწორ ინფორმაციას ფლობს. თბილისიდან რუსეთში გამოფრენა კი ვერ მოვახერხე და სამარაში ვენა-ფრანკფურტის გავლით ჩამოვედი.

— ოჯახი?

— ოჯახი თბილისში დავტოვე. ხანგრძლივი მგზავრობის გამო მათი ჩამოყვანა აღარ მიცდია, თან სეზონის ბოლომდე ცოტაღა დარჩა და მეც მალე მომიწევს მათთან ჩასვლა.

— გულშემატკივარს მუჯირის მოედანზე ხილვა სურს, ეს როდის მოხდება?

— ტკივილები აღარ მაწუხებს, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. იმედი მაქვს, აღდგენითი პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის. მიჭირს იმის თქმა, როდის შევძლებ მოედანზე დაბრუნებას. სავარაუდოდ, „ტომთან“ თამაშს ალბათ გამოვტოვებ. ვიმედოვნებ, მალე შევძლებ „კრილიას“ დახმარებას.

# პუტინს შეეკარით?!



## შალკემ ნამუსზე ხელი აიღო: გაზპრომის ფული აიღო

ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული დახმარების საკითხში გერმანიის ფედერალური მთავრობის ნდობით აღჭურვილმა პირმა გიუნტერ ნოკემ საფეხბურთო კლუბი „შალკე“ რუსულ „გაზპრომთან“ სპონსორული შეთანხმების გამო გააკრიტიკა.

„შალკეს“ ფეხბურთელებს ურჩევნიათ, მაისურაზე პირდაპირ „ფკ პუტინი“ დაიწერონ. ასე „გაზპრომის“ ნამდვილი სახე უფრო კარგად გამოჩნდება. კონცერნი ხომ რუსეთის პრეზიდენტის ფინანსური იმპერიის საკუთრებაა“ — განაცხადა ბატონმა ნოკემ „შპიგელთან“ ინტერვიუში.

გერმანელი ჩინოსანი ვლადიმირ პუტინს ადამიანის უფლებების შელახვასა და დემოკრატიულობის სიმწირეში ადანაშაულებს. „ეკონომიკური კონტაქტები პრობლემატური მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ისინი მიზნად არადემოკრატიული ქვეყნის ნათელ ფერებში შენიღბვას ისახავენ. „გაზპრომისა“ და „შალკე 04“-ის შეთანხმება ზუსტად ამ მიზანს ემსახურება“ — ამბობს პუტინის რუსეთის კრიტიკოსი პოლიტიკური მოღვაწე.

შეთანხმების მიხედვით, რომელიც ვლადიმირ პუტინის გერმანიაში ამასწინანდელი ვიზიტის დროს გაფორმდა, „შალკე“ „გაზპრომისგან“ 70-100 მილიონ დოლარს მიიღებს მიუხედავად იმისა, გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობას მიიღებს თუ არა.

პირველი ფინანსური გადარიცხვა 2007 წლის 10 იანვარს მოხდება.

**ლადო ხომერიკი**

# მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვი

## დელ პიეროს საქართველო ეწყინა



**იტალიური** „იუვენტუსის“ კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ აღნიშნა, რომ ჯერაც გაბრაზებულია, საქართველოსთან მატჩში რომ არ ათამაშეს. მოგეხსენებათ, ამის გამო მას, „სკუადრა ამურას“ მწვრთნელთან რობერტო დონადონისთან უთანხმოება მოუვიდა.

დელ პიეროსი „იუვენტუსში“ ძველებურად ეიმედებათ და დიდიე დეშანი მას, ფაქტობრივად, სულ ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს, მაგრამ ვეტერან თავდამსხმელს ეს არ აკმაყოფილებს და ეროვნულ ნაკრებშიც სურს ადგილის დაბრუნება.

„იუვე“ „იუვეა“ და არა ნაკრები. მიხარია, რომ ამ კლუბის წევრი და სიმბოლო ვარ, მაგრამ „სკუადრა ამურა“ კიდევ სხვა განზომილებაა. არ ვმალავ, რომ ჯერ კიდევ გაბრაზებული და ნაწყენი ვარ. ყოველთვის თამაში მინდა და ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა, საქართველოსთან მატჩის სკამიდან ყურება რომ მაიძულეს, თუმცა ამაზე დაწვრილებით საუბრისას შესაფერისი დრო და ადგილიც მოვა“ — აღნიშნა დელ პიერომ.

„ბებერმა ქალბატონმა“ გასულ ორშაბათს „ტრევიზოს“ 1:0 მოუგო და სერია A-ში მორიგი გამარჯვება მიითვალა. დელ პიეროს რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მათი გამოყენება ვერ შეძლო და ტურინელთა მეათე ნომერი „იუვეს“ რიგებში ჯერაც თავისი მეორასე გოლის მოლოდინშია.

„ძალიან მინდოდა გოლის გატანა და ვფიქრობ, ეს კარგად ჩანდა. თუმცა არა უშავს, სეზონი ახალი დაწყებულია და დარწმუნებული ვარ, ჩემთვის ამ მნიშვნელოვან და საიუბილეო გოლს მალე გავიტან“ — დასძინა დელ პიერომ.

ამასობაში, ტურინელთა მენეჯერი ალესიო სეკო ისევ გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობს და ახალ ფეხბურთელებს ეძებს. მას ამჯერად მიზანში, ავსტრალიაში დაბადებული ხორვატი მცველი იოსიპ შიმუნიჩი ამოუღია. „ჰერტას“ ფეხბურთელი ცენტრალური მცველია, მაგრამ ფლანგებზეც შეუძლია ბურთაობა და თავითაც კარგად თამაშობს.

ამბობენ, „იუვენტუსი“ მზადაა, მასში სამი მილიონი გირვანქა გადაიხადოს და შიმუნიჩის ხელში ჩაგდება იანვარშივე უნდაო. ტურინელებს 28 წლის მცველისთვის 2010 წლამდე გაუმზადებიათ კონტრაქტი და მას წელიწადში 700 ათას გირვანქას ჰპირდებიან.

შიმუნიჩის გარდა, „იუვე“ „პალერმოსა“ და იტალიის ნაკრების მცველ ანდრეა ბარძალის უტრიალებს. მასში „ბებერი ქალბატონი“ ამ ზაფხულს 8 მილიონ გირვანქასა და რაფაელ პალადინოს იხდიდა, მაგრამ „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ უარი შეუთვალა.

იტალიური პრესის ცნობით, კლუბებს შორის მოლაპარაკება გრძელდება. ძამპარინის ფულთან ერთად 19 წლის ნიჭიერი მცველი დომენიკო პრისკიტო სდომებია, რომელიც ახლა „ჯენოაში“ თამაშობს და ნახევრად „იუვეს“ საკუთრებაა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# შევჩენკოობა მოგინდა?



**„სევილიას“** მიუნხენის „ბაიერნიდან“ კლაუდიო პიზაროს ყიდვა უნდა. პერუელ ფორვარდს კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს ეწურება, მის გახანგძლივებას კი არ აპირებს. ამიტომ „სევილია“ პერუელის მუქთად ხელში ჩაგდებას ცდილობს.

გერმანული „ბილდის“ ცნობით, ესპანური კლუბის სპორტული დირექტორი რამონ როდრიგეს ვერდეხო ფეხბურთელის აგენტ კარლოს დელგადოს შეხვდა და შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრა.

კლაუდიო პიზარო ამჟამად კარგ ფორმაშია და ამ სეზონში ოთხი გოლიც გაიტანა. იგი ჯამაგირის მომატებას ითხოვს, „ბაიერნი“ კი უარზეა, რის გამოც კონტრაქტის გაგრძელება აღარ სურს. პერუელმა წელიწადში 4 მილიონი ევრო მოითხოვა და „ბაიერნის“ თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე გააბრაზა. „თუკი ვინმეს შევჩენკოსავით ხელფასი უნდა, შევჩენკოსავით ითამაშოს“ — განაცხადა რუმენიგემ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ კლაუდიო პიზაროს ეროვნულ ნაკრებში თამაში აღარ სურს, რომელსაც ფრანკო ნავარო წვრთნის და მის ხელში გუნდს ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგია. „მე გავუგზავნე წერილი ფედერაციას და მოვახსენე, რომ სანამ ნავარო მწვრთნელი იქნება, ნაკრებში არ ვითამაშებ და ტყუილად ნუ გამომიძახებენ“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

**ირაკლი ნინიძე**

# ფაბიო კაპელო: თქვენ ტყუილები გიყვართ



ფაბიო კაპელოს „რეალმა“ „ბარსელონასთან“ ელ კლასიკოს წინ ბუქარესტის „სტიაუა“ დაამარცხა. სრულიად ესპანეთს და მსოფლიოს წინ დიდი მატჩი ელის, მადრიდული „ასის“ ჟურნალისტები კი „სტიაუასთან“ თამაშის შემდეგ იტალიელს გაესაუბრნენ

— „ხეტაფესთან“ „რეალმა“ საშინლად ითამაშა, ხოლო ბუქარესტში სულ სხვა გუნდი ვიხილეთ — რუმინელების მწვრთნელმა იხუმრა, მოგვატყუეს და მეტოქედ სხვა კლუბი შემოგვაპარესო... დროის მცირე მონაკვეთში თქვენი შეგირდების გარდაქმნა როგორ მოახერხეთ?

— სათამაშო დონე და საქმისადმი პროფესიული მიდგომა, აი, ორი ძირითადი თვისება, რომლითაც მატჩებს იგებენ. დღეს „რეალს“ ორივე თვისება კარგად ეტყობოდა, რაც შესაფერისად დაფასდა. მგონი, ამით, ჩემი გუნდის გამარჯვების მიზეზი გასაგებად ავხსენი.

— მადრიდული კლუბის გამარჯვება ყველაზე მეტად ალბათ თქვენ გაგიხარდათ — ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ფაბიო კაპელოს „რეალის“ ულიმლამო თამაშის გამო მწარედ აკრიტიკებდნენ...

— დიახ, კმაყოფილი ვარ. „ხეტაფესთან“ ფიასკო უნდა დავივიწყოთ და ყოველთვის ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც დღეს. მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ და ახლა მარტო „ბარსელონაზე“ ვიფიქრებთ.

— კმაყოფილი იქნებით, რომ გუნდი სულ ასე გამოიყურებოდეს?

— დღევანდელი „რეალის“ შესახებ ცუდი არაფერი მეთქმის. გუნდი სწრაფი და ტექნიკურია. ბუქარესტში ჩემი გუნდი ძალიან მომეწონა. აქ თამაში და 4:1 გამარჯვება ადვილი საქმე არ ყოფილა.

— რობინიოს ადრე ნაკლებად სწყალობდით... რას იტყვით ბრაზილიელის დღევანდელ თამაშზე?

— რობინიომ, ისევე როგორც ყველა სხვა ჩვენმა ფეხბურთელმა, თავი გამოიჩინა. გუნდი თუ გუნდურად თამაშობს, საქმეები ინდივიდუალისტებსაც კარგად მისდით.

— „სტიაუაზე“ რას ფიქრობთ?

— „სტიაუა“ საკმაოდ ძლიერი გუნდია. რუმინელები ბოლომდე იბრძვიან, მოედანზე სწრაფად გადაადგილდებიან და საჯარიმოებისას ერთობ სახიფათონი არიან. თუმცა „სტიაუა“ საომრად მომართულ მადრიდის „რეალს“ გადააწყდა და ვერაფერი გააწყო.

— რუმინეთში ჩასვლამდე ფიქრობდით, რომ „სტიაუასთვის“ აუცილებლად უნდა მოგეგოთ?

— მიღწეულ შედეგს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საერთოდაც, სტუმრად გამარჯვება ყოველთვის განსაკუთრებით ძვირფასია.

— მეტოქემ ის ერთადერთი გოლი მცველების შეცდომის შედეგად გაიტანა...

— მაშინ მოვდუნდით და გოლი თავიდან იმიტომ ვერ ავიცილეთ. ვნახოთ, კვირას ელ კლასიკოში რა მოხდება. ყველაფერი იმ შემადგენლობაზე იქნება დამოკიდებული, „ბერნაბეუზე“ „ბარსელონასთან“ რომ გავიყვან.

— მართალია, რომ „ხეტაფესთან“ წაგების შემდეგ „რეალის“ დატოვება გინდოდათ?

— თქვენ ეს გჯერათ? ესპანეთში ხშირად იტყუებიან... გუნდიდან წასვლა არც მიფიქრია.

# შენც გინდა და მეც მინდა



**დევიდ ბექემი** მზად არის მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს და მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტის განახლებაზე ისაუბროს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს ბექჰი ძირითადში ვერ ხვდება, პრეზიდენტ რამონ კალდერონსა და მწვრთნელ ფაბიო კაპელოს მისი შენარჩუნებ კიდევ ორი წლითა სურთ.

სირთულე მოლაპარკებებში ის არის, რომ ფეხბურთელს ხელფასის მომატება სურს, კლუბი კი ეგებ მის დაკლებაზეც ოცნებობდეს, ზაფხულში ხომ ბექემს მიმდინარე კონტრაქტი უმთავრდება.

„სიმართლე რომ ითქვას, კლუბში ბევრი რამ ხდება — თქვა ბექემმა — ყველამ იცის, რომ ბოლო ორ თვეში ბევრი რამ შეიცვალა: პრეზიდენტი, საბჭო, დირექტორები, მწვრთნელი. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ჩემი დატოვება უნდათ. აქ თამაში მსიამოვნებს. ვის არ უყვარს „რეალში“ თამაში და აქაური გულშემატკივრები? მათ პატივისცემას თავიდანვე ვგრძნობდი, მაგრამ ვინც იცის კონტრაქტი რა არის, ისიც ეცოდინება, რომ მის შედგენას დრო უნდა. კლუბს ვუნდივარ, და მეც მინდა. ესე იგი, შევთანხმდით“.

იმის გამო, რომ ძირითადში ვერ ხვდება, ფეხბურთელებმა თქვა:

„რას იზამ? აქ გზა ერთია. უფრო თავდაუზოგავად იშრომო ვარჯიშზე და ელოდო. ამით გახარებული ვერ იქნები, როცა ფეხბურთი გიყვარს. მე მებრძოლი ვარ და ამიტომ, ბრძოლას განვაგრძობ. კაპელომ თავისი პატივისცემა მაგრძნობინა, დანარჩენი კი უკვე ჩემზეა დამოკიდებული“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფერნანდესს ყვითელი კალამი მიაწოდეს



მატიას ფერნანდესი „ვილიარეალში“ მიდის

**„ვილიარეალმა“** „კოლო კოლოს“ ჩილელი ნახევარმცველი მატიას ფერნანდესი შეიძინა. როგორც ესპანური მედია გვამცნობს, დაინტერესებულ მხარეებს კონტრაქტი ჯერ ოფიციალურად არ გაუფორმებიათ, თუმცა გარიგების დაგვირგვინებას ოდენ ფერნანდესის ხელმოწერალა აკლია და სამხრეთამერიკელის „ელ მადრიგალზე“ გადაბარგებაც გადაწყვეტილი საქმეა.

ფეხბურთელი „ვილიარეალს“ ოფიციალურად 2007 წლის 1 იანვარს შეუერთდება. ეს კი ფერნანდესს საშუალებას მისცემს, ნაციონალურ კლაუსურაში და კოპა სუდამერიკაზე „კოლო კოლოს“ მნიშვნელოვან მატჩებში დაეხმაროს. დღეს მატიასის კლუბი კოპა სუდამერიკანაზე არგენტინულ „ხიმნასია ლა პლატას“ შეერკინება.

ფერნანდესი არგენტინაშია დაბადებული, თუმცა ჩილეს მოქალაქეა და ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად (მატიასი 20 წლისაა), ანდებისპირა ქვეყნის ძირითად ნაკრებშიც უთამაშია. მას თანამედროვე ჩილეს ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად თვლიან. „ვილიარეალი“ მისი შეძენით ჯერ კიდევ სექტემბერში დაინტერესდა, როცა „ყვითლების“ ფრანგმა ლეგიონერმა რობერ პირესმა სერიოზული ტრავმა მიიღო. მატიას ფერნანდესს ლონდონის „ჩელსის“ აგენტებიც უტრიალებდნენ, თუმცა ფეხბურთელმა ესპანურ პრიმერადივიზიონში გადასვლა არჩია.

„მოხარული ვარ, რომ „კოლო კოლოსთან“ შეთანხმებას მივაღწიეთ. მატიას ფერნანდესი ჩილეს ფეხბურთის გამოკვეთილი ვარსკვლავია და მისი დახმარებით „ვილიარეალი“ მეტოქეებს უფრო იოლად დაამარცხებს“ — განაცხადა „ვილიარეალის“ პრეზიდენტმა ფერნანდო როიგმა.

**ლადო ხომერიკი**

# სერხიო მარადონა

## როცა ხელი თავს უსწრებს



**მადრიდის** „ატლეტიკოს“ არგენტინელმა ფორვარდმა სერხიო აგერომ ჟურნალისტებს განუცხადა, გასულ შაბათს „უელვასთან“ მატჩში გოლი ხელით, წინასწარგანზრახვით არ გამიტანია, ინსტიქტურად მომიხდაო. „კუნმა“ იმ ინსტიქტური გოლით „ატლეტიკოს“ თამაში მოაგებინა, თავად კი ესპანეთში „მარადონას“ მეტსახელი დაიმკვიდრა. სერხიო, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას მოედანზე ჩაუქობაში რომ ვერ შეედრება, ეს ყველამ იცის, „მარადონა“ ხელით თამაშის გამო შეარქვეს.

„კუნი „უელვას“ კარში გოლს ასე იხსენებს: „როცა ფერნანდო ტორესმა თავურით ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა, კარის ძელთან ძალიან ახლოს ვიდექი. თავური დარტყმის შემთხვევაში შეიძლებოდა ძელს დავჯახებოდი და სერიოზული ტრავმაც მიმეღო, ამიტომაც ინსტიქტურად ხელი წინ გავიქნიე... ეს კი ბურთზე შეხებით და გოლით დასრულდა. თუ დამიჯერებთ, იმ ეპიზოდში ხელით განზრახ გატანა არ მინდოდა, ეს ინსტიქტური დარტყმა იყო“.

აგეროს საქციელის გამო „უელვას“ გულშემატკივრები და ფეხბურთელები მატჩის მსაჯს თავს რისხვად დაატყდნენ. თუმცა „მარადონამ“ მატჩის არბიტრი კრიტიკოსთაგან დაიცვა. „რა ვქყოთ, მსაჯს შეეშალა. შეცდომისგან დაზღვეული კი არავინ არის. ვაღიარებ, ბურთი ხელით გავიტანე, რაც არბიტრმა ვერ დააფიქსირა. თუმცა არა მგონია, ამით ქვეყანა დანგრეულიყოს“ — თქვა არგენტინელმა. მადრიდული „ასი“ კი მის ნათქვამს ამატებს, ქვეყანა არ დანგრეულა, მაგრამ საწყალმა „უელველებმა რა დააშავეს, ახალი დიეგო არმანდოს მსხვერპლი რომ შეიქმნენო.

**ლადო ხომერიკი**

არც ისე დიდი ხანია, რაც 36 წლის დიეგო სიმეონემ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება და უკვე საკმაოდ წარმატებული მწვრთნელია. 2005 წელს, როდესაც იგი აველანედას „რასინგში" თამაშობდა, კლუბი უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე დადგა და ხელმძღვანელობამ მას მწვრთნელობა შესთავაზა. სიმეონეც დათანხმდა და „რასინგი" გადაარჩინა. დღეს იგი არგენტინის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი კლუბის, „ესტუდიანტესის" თავკაცია. „ველეს სარსფილდის" აღზრდილ სიმეონეს ფეხბურთელობისას არაერთი ჯილდო მოუგია. იგი „სევილიაში", „ატლეტიკოში", „პიზაში", „ლაციოსა" და „ინტერში" თამაშობდა. ეროვნული ნაკრების მაისურა მას რობერტო აიალასთან ერთად ყველაზე მეტჯერ, 106-ჯერ მოურგია. ახლახან სიმეონეს FIFA.COM-ი გაესაუბრა



# დიეგო: აღარა გვყავს დიეგო



— როგორ გრძნობთ თავს მწვრთნელის რანგში?

— ძალიან კარგად. ოცნება ამიხდა. ყოველთვის ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, მწვრთნელი გავხდებოდი და ახლა, როცა ამ საქმეში პირველ ნაბიჯებს ვდგამ, უფრო და უფრო მომწონს.

— ფეხბურთის თამაში არ გენატრებათ?

— არა. როდესაც „რასინგში" გადაველი, ვერ წარმოვიდგენდი, რომ მწვრთნელი გავხდებოდი. თუმცა ჩემს ახალ როლს ძალიან მალე შევეგუე და ერთხელაც აღარ მითამაშია. ამის სურვილი აღარც მაქვს, დიდი ხანია, ფეხბურთელივით აღარ ვაზროვნებ. ახლა მწვრთნელი ვარ და ეს სრულიად მაკმაყოფილებს.

— ასევე ფიქრობდით მსოფლიოს განვლილი ჩემპიონატის დროსაც?

— მართალია, იმ დროს უკვე მწვრთნელი ვიყავი, მაგრამ რაღაცრაღაცეები მაინც გამახსენდა და ნოსტალგიაც მომეძალა. არგენტინის ნაკრებთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს. მუნდიალზე პირველად 1994 წელს ვითამაშე და მას მერე მსოფლიოს ჩემპიონატი პირველად ახლა იყო, რომ გამოვტოვე. გერმანიის მუნდიალს უფრო გულშემატკივრის რანგში ვუყურებდი, ვიდრე მწვრთნელის ან ექსფეხბურთელის.

— მწვრთნელებზე ისეთივე ზეწოლაა, როგორც ფეხბურთელებზე?

— მწვრთნელებზე ბევრად მეტი ზეწოლაა და ეს უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. ფეხბურთელი ვარჯიშობს, თამაშობს, მიდის სახლში და. მწვრთნელს კი მუდამ საფიქრალი და საქმე აქვს. მან ყველაფერი უმცირეს დეტალებამდე უნდა გათვალოს და გააანალიზოს, გუნდის წევრებს ესაუბროს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღოს.

— ფეხბურთელობის გამოცდილება მწვრთნელობაში რამდენად გადგებათ?

— ვცდილობ, გავიხსენო რა არ მომწონდა მწვრთნელისგან და რა მომწონდა. მინდა, შეცდომები არ დავუშვა და არავის ვაწყენინო. თუმცა არის შემთხვევები, როცა იცი, რომ შენ გადაწყვეტილებას სიხარულით არ შეხვდებიან, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა მიიღო.

— მატჩისას სათადარიგოთა სკამზე ყოფნა სჯობს თუ მოედანზე?

— სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ბევრად უფრო რთულია, რადგან როცა მატჩი იწყება, თითქმის ყოველგვარ კონტროლს კარგავ. როგორ წარიმართება შეხვედრა, უკვე ფეხბურთელებზეა დამოკიდებული, მწვრთნელს მიზერული ცვლილებების შეტანაღა შეუძლია. თუ მატჩამდე რამდენიმე დღე კარგად არ იმუშავებ და მოთამაშეებს ყველაფერს არ აუხსნი, მერე ყვირილს აზრი აღარ აქვს.

— დიეგო სიმეონეს, როგორც მწვრთნელს, თავისი სტილი აქვს?

— აგრესიული გუნდები მიყვარს, რომლებიც მეტოქეზე გაუთავებელ ზეწოლას ახდენენ და გასაქანს არ აძლევენ. მინდა, რომ ფანებმა ამ სტილით მიცნონ. მინდა, მათ იგრძნონ, რომ გუნდის ყველა წევრი ბოლომდე იხარჯება. გულშემატკივარი გაგებით მოეკიდება ფეხბურთელის ჩავარდნას, მაგრამ თუ იგი უბრალოდ იშორებს ბურთს და მარცხთან შეგუებულია, ვერ გაუგებს. თითოეული მოთამაშე ასი პროცენტით უნდა იხარჯებოდეს.

— გინდათ, მწვრთნელის რანგშიც სცადოთ ძალები ევროპაში?

— რა თქმა უნდა. თუმცა ყველაფერს თავისი დრო აქვს. ამჟამად „ესტუდიანტესში" ყოფნა მომწონს და ჯერ არსად წასვლას არ ვაპირებ. კლუბს ჩემი იმედი აქვს. მიუხედავად მცირე სამწვრთნელო გამოცდილებისა, ხელმძღვანელობამ ნდობა გამომიცხადა და ამისთვის მადლობელი ვარ. ჩვენ სოლიდური, გამოცდილი და შეკრული გუნდი უნდა შევქმნათ.

— არგენტინაში და ევროპაში მწვრთნელობა ერთი და იგივეა?

— არა, რადგან ტემპია განსხვავებული. მაგალითად, ესპანეთში ფეხბურთელები უფრო ნელა მოძრაობენ, ვიდრე არგენტინაში, მაგრამ უშუალოდ თამაშის ტემპი იქ უფრო დინამიური და სწრაფია. ევროპაში ბურთით უფრო მეტს მუშაობენ, აქ კი უფრო მეტს დარბიან. ერთი სიტყვით, ევროპაში როგორც აქედან წასულ ფეხბურთელს, მწვრთნელსაც სჭირდება ადაპტაცია.

— თქვენ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყავით იმ არგენტინის შემადგენლობაში, რომელსაც 90-იან წლებში ალფიო ბასილე წვრთნიდა. ეროვნულ ნაკრებში მის ხელახლა დანიშვნაზე რას ფიქრობთ?

— ის ძალიან ქარიზმატული ფიგურა და ჩინებული მწვრთნელია. უყვარს, როცა მისი გუნდი კარგ ფეხბურთს თამაშობს. ნაკრებთან ერთად ბევრ წარმატებას მიაღწია, მაგრამ იყო იმედგაცრუებაც — 1994 წლის მუნდიალი. ახლა მას ისევ სთხოვეს არგენტინის გაწვრთნა, რაც ძალიან რთულია, მაგრამ ბასილე უმაღლესი კლასის სპეციალისტია და ჩვენს მხარდაჭერას იმსახურებს.

— ისურვებდით არგენტინის ნაკრების მწვრთნელობას?

— ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. ამას ისე არ ვამბობ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ნაკრებში 1987-დან 2004 წლამდე ვითამაშე და საუკეთესო მოგონებები სწორედ „ალბისელესტესთან" ერთად მაქვს, ნაკრებს ყველაფერი მივეცი, რაც შემეძლო. როდესაც ახალგაზრდა ფეხბურთელი ვიყავი და არგენტინის ღირსების დაცვაზე ვოცნებობდი, ვიცოდი, რომ ამის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში მომეცემოდა, თუ კარგად ვითამაშებდი. ახლაც ასეა, თუ კლუბებში მწვრთნელად კარგად ვიმუშავებ, შანსები მეტი მექნება.

— როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გადის არგენტინა მუნდიალებზე მეოთხედფინალზე შორს 1990 წლის მერე?

— პოსტმარადონას ეპოქაში გვიჭირს. შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ახალი მარადონა არ გვეყოლება და ამას უნდა შევეგუოთ. მას მარტო შეეძლო მატჩების მოგება, ჩვენ კი უფრო გუნდურად უნდა ვითამაშოთ. არგენტინას უამრავი ძლიერი ინდივიდუალისტი ჰყავს, რომელთაგან რამდენიმე მართლაც ბრწყინვალეა, მაგრამ გუნდურად თამაში სათანადოდ ჯერ ვერ ვისწავლეთ, როცა ამას შევძლებთ, წარმატებასაც მივაღწევთ. რომელიმე ერთი ფეხბურთელის იმედზე ყოფნა არ შეიძლება, მარადონა აღარ გვყავს. 1998 წელს საფრანგეთში წარმატებასთან ახლოს ვიყავით, იგივე განმეორდა ამ ზაფხულსაც და იმედია, ყველაფერი გამოსწორდება.

— გიოცნებიათ, რომ მარადონას მწვრთნელი ყოფილიყავით?

— დიეგო არასდროს გაწვრთნილა და არც არასდროს გაიწვრთნება. რომც ვყოფილიყავი, რა უნდა მეთქვა მისთვის? არა, ვეტყოდი, მაგრამ მხოლოდ ამას — გადი მინდორზე და ითამაშე.

— დაბოლოს, რას გაიღებდით იმისთვის, რომ არგენტინასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარიყავით?

— ბევრ რამეს. ულაპარაკოდ დავთმობდი ჩემს 106 მატჩს და მხოლოდ იმ შვიდს ჩავატარებდი, რომელიც ჩემპიონობას სჭირდება. ვინ იცის, იქნებ ერთხელ მწვრთნელის რანგში მივაღწიო იმას, რაც ფეხბურთელობისას ვერ შევძელი.

## უბრალო აქლემი

**ზლატან იბრაჰიმოვიჩს** აღარ დასჯიან, რადგან ვიდეოგამეორებამ მისი უდანაშაულობა დაამტკიცა. შეგახსენებთ, რომ წინა კვირას „ინტერი" — „კატანიას" მატჩში შვედმა მეტოქე ანდრეა სოტილისკენ გადააფურთხა. თავიდან ისე ჩანდა, თითქოს სცადა, სოტილისთვის შეეფურთხებინა, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა ამბავი გაარჩია და აღმოჩნდა, რომ იბრაჰიმოვიჩი ამ საქმეში უბრალოა — მხოლოდ მოედანი დაასველა. ასე რომ, შვედი სამმატჩიან დისკვალიფიკაციას გადაურჩა.

თუმცა კომიტეტმა დამნაშავეები სხვა მატჩებში გამონახა. „ლაციო" — „კალიარის" შეხვედრაში მასპინძელმა მასიმო ოდომ და სტუმარმა დანიელე კონტიმ იჩხუბეს. ისინი მსაჯმა გააძევა და ორ-ორ მატჩსაც გამოტოვებენ. ერთი თამაშითაა დისკვალიფიცირებული „კალიარელი" ჯო ბიზერა. ასეთივე სასჯელს მოიხდიან ვინსენ კანდელა („სიენა"), კარმინე კოპოლა („მესინა"), მარკო დონადელი („ფიორენტინა") და მარკო პისანო („პალერმო").

**ირაკლი ნინიძე**

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XII ტური**

**ბარნსლი 2:2 პლიმუთი**
**ბირმინგემი 0:1 ნორვიჩი**
**ბარნლი 0:0 საუთენდი**
**კარდიფი 1:0 საუთჰემპტონი**
**ჰალი 0:0 ლუთონი**
**იფსვიჩი 2:3 პრესტონი**
**ლიდსი 1:2 ლესტერი**
**სტოკი 2:1 სანდერლენდი**
**ვულვეზი 1:0 ქოვენთრი**
**კრ. პალასი 0:2 ვესტ ბრომვიჩი**
**ქუინზ პარკი 1:2 დერბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარდიფი | 12 | 8 | 3 | 1 | 24:9 | 27 |
| პრესტონი | 12 | 6 | 5 | 1 | 18:11 | 23 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:11 | 22 |
| ვულვზი | 12 | 7 | 1 | 4 | 10:10 | 22 |
| ბარნლი | 12 | 6 | 3 | 3 | 20:12 | 21 |
| პლიმუთი | 12 | 5 | 5 | 2 | 20:15 | 20 |
| ლუთონი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:17 | 19 |
| დერბი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:17 | 18 |
| ბირმინგემი | 12 | 5 | 3 | 4 | 16:15 | 18 |
| კრ. პალასი | 12 | 5 | 2 | 5 | 14:15 | 17 |
| საუთჰემპტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:15 | 16 |
| ქოვენთრი | 12 | 5 | 1 | 6 | 11:11 | 16 |
| ლესტერი | 12 | 4 | 4 | 4 | 11:12 | 16 |
| სტოკი | 12 | 3 | 6 | 3 | 15:12 | 15 |
| ნორვიჩი | 12 | 4 | 3 | 5 | 19:21 | 15 |
| კოლჩესტერი | 11 | 4 | 2 | 5 | 13:14 | 14 |
| იფსვიჩი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:21 | 14 |
| ქუინზ პარკი | 12 | 3 | 4 | 5 | 16:19 | 13 |
| სანდერლენდი | 12 | 4 | 1 | 7 | 16:20 | 13 |
| ბარნსლი | 12 | 3 | 3 | 6 | 18:25 | 12 |
| ლიდსი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:20 | 11 |
| უენსდი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:11 | 10 |
| საუთენდი | 12 | 2 | 4 | 6 | 11:20 | 10 |
| ჰალი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:16 | 9 |

## შვედეთი

**ალსვენსკა. XXII ტური**

**გიოტებორგი 3:2 იურგორდენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 22 | 11 | 10 | 1 | 38:17 | 43 |
| აიკ | 22 | 11 | 8 | 3 | 37:21 | 41 |
| ჰამარბი | 22 | 10 | 6 | 6 | 36:30 | 36 |
| გიოტებორგი | 22 | 9 | 8 | 5 | 38:27 | 35 |
| ჰელსინგბორგი | 22 | 9 | 8 | 5 | 37:27 | 35 |
| მალმიო | 22 | 9 | 7 | 6 | 38:31 | 34 |
| იურგორდენი | 22 | 9 | 6 | 7 | 27:23 | 33 |
| კალმარი | 22 | 9 | 5 | 8 | 30:24 | 32 |
| გეფლე | 22 | 8 | 5 | 9 | 24:32 | 29 |
| გაის | 22 | 5 | 9 | 8 | 22:29 | 24 |
| ჰალმსტადი | 22 | 4 | 10 | 8 | 19:28 | 22 |
| ჰეკენი | 22 | 3 | 8 | 11 | 24:38 | 17 |
| იორგრიტე | 22 | 3 | 6 | 13 | 19:37 | 15 |
| იოსტერსი | 22 | 3 | 6 | 13 | 15:40 | 15 |

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## E ჯგუფი

# ორმოცი გამოუშვი!

### რეალმა ბარსამდე დრაკულას სისხლი ჩაისხა

**სტიაუა 1:4 რეალი**

0:1 რამოსი (9), 0:2 რაული (34), 0:3 რობინიო (56), 1:3 ბადეა (64), 1:4 ვან ნისტელროოი (76)
**სტიაუა:** კ. ფერნანდეში, საბანი (ტერეაუ 59), გოიანი, გიონია, პ. მარინი, ნიკოლიტა, პარასკივი (ოპრიტა 78), ლოვინი (პეტრე 62), ბოსტინა, დიკა, ბადეა
მწვრთნელი: კოზმინ ოლაროიუ
**რეალი:** კასილიასი, ს. რამოსი, ი. ელგერა, კანავარო, რ. კარლოსი, გუტი (ბექემი 71), ემერსონი, მ. დიარა, რობინიო, რაული, ვან ნისტელროოი (რონალდო 78)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: დიკა, გოიანი
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
27 063 მაყურებელი



ლუცენკო ლიონელებს ვერ დაუდგა

**ბუქარესტში** მადრიდის „რეალის" გამარჯვებამ ესპანური მედია მისტიციზმის გუნებაზე დააყენა. „რუმინეთი დრაკულას სამშობლოა, „რეალს" კი ვამპირ „სტიაუასთან" სისხლის დაკარგვის უფლება არ ჰქონდა — მალე „ბერნაბეუზე" ბარსელონელი სისხლისმსმელები ჩამოდიან და კაპელოს გუნდი მათ ძლიერად უნდა დაუხვდეს" — ეწერა გუშინდელ „მარკაში". ვამპირები ჩვენგან შორს, სამეფო გუნდმა კი სუსტად მობურთავე „სტიაუა" დიდი ანგარიშით გაანადგურა. გოლები რამოსმა, რაულმა, რობინიომ და ვან ნისტელროოიმ შეყარეს. ამ გამარჯვებით „რეალმა" მერვედფინალისკენ გზაზე წინ ნაბიჯი გადადგა — ლიგაზე ნასიამოვნები სამეფო თეთრები ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონასთან" მხნედ იომებენ.

| 10501 | აინტრახტი-პალერმო | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10502 | ნიუკასლი-ფენერბაჩე | 2.25 | 2.00 | 4.50 | 1.05 | 1.50 | 1.38 |
| 10503 | ლივორნო-რეინჯერსი | 2.35 | 2.00 | 4.20 | 1.08 | 1.50 | 1.35 |
| 10504 | მაკაბი ჰ-ოსერი | 3.20 | 2.00 | 2.85 | 1.23 | 1.50 | 1.17 |
| 10505 | ბეშიქთაში-ტოტენჰემი | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10506 | ბრიუგე-ლევერკუზენი | 2.85 | 2.00 | 3.15 | 1.17 | 1.49 | 1.22 |
| 10507 | ალკმაარი-ბრაგა | 2.05 | 2.00 | 5.75 | 1.01 | 1.51 | 1.48 |
| 10508 | ლიბერეცი-სევილია | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10509 | ოსასუნა-ჰერენვენი | 1.95 | 2.20 | 6.00 | 1.03 | 1.47 | 1.60 |
| 10510 | ოდენსე -პარმა | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11495 | ვისლა-ბლექბერნი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11496 | ბაზელი-ფეიენოორდი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11497 | აუსტრია-ზ ვარეგემი | 2.35 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11498 | სპარტა-ესპანიოლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11499 | პანათინაიკოსი-ჰაპოელი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11500 | რაპიდი(ბ)-პსჟ | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11501 | აინტრახტი-პალერმო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11502 | ნიუკასლი-ფენერბაჩე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11503 | ლივორნო-რეინჯერსი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11504 | მაკაბი ჰ-ოსერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11505 | ბეშიქთაში-ტოტენჰემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11506 | ბრიუგე-ლევერკუზენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11507 | ალკმაარი-ბრაგა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11508 | ლიბერეცი-სევილია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11509 | ოსასუნა-ჰერენვენი | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11510 | ოდენსე -პარმა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|
| 12495 ვისლა-ბლექბერნი | 1.60 | 2.00 |
| 12496 ბაზელი-ფეიენოორდი | 1.90 | 1.70 |
| 12497 აუსტრია-ზ ვარეგემი | 1.70 | 1.90 |
| 12498 სპარტა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12499 პანათინაიკოსი-ჰაპოელი | 1.90 | 1.70 |
| 12500 რაპიდი(ბ)-პსჟ | 1.55 | 2.10 |
| 12501 აინტრახტი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12502 ნიუკასლი-ფენერბაჩე | 1.70 | 1.90 |
| 12503 ლივორნო-რეინჯერსი | 1.60 | 2.00 |
| 12504 მაკაბი ჰ-ოსერი | 1.60 | 2.00 |
| 12505 ბეშიქთაში-ტოტენჰემი | 1.55 | 2.10 |
| 12506 ბრიუგე-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 12507 ალკმაარი-ბრაგა | 1.90 | 1.70 |
| 12508 ლიბერეცი-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12509 ოსასუნა-ჰერენვენი | 1.70 | 1.90 |
| 12510 ოდენსე -პარმა | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13495 ვისლა-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13496 ბაზელი-ფეიენოორდი | 1.70 | 1.90 |
| 13497 აუსტრია-ზ ვარეგემი | 1.70 | 1.90 |
| 13498 სპარტა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13499 პანათინაიკოსი-ჰაპოელი | 1.90 | 1.70 |
| 13500 რაპიდი(ბ)-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13501 აინტრახტი-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13502 ნიუკასლი-ფენერბაჩე | 1.70 | 1.90 |
| 13503 ლივორნო-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13504 მაკაბი ჰ-ოსერი | 1.70 | 1.90 |
| 13505 ბეშიქთაში-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13506 ბრიუგე-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13507 ალკმაარი-ბრაგა | 1.70 | 1.90 |
| 13508 ლიბერეცი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13509 ოსასუნა-ჰერენვენი | 1.95 | 1.60 |
| 13510 ოდენსე -პარმა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14495 ვისლა-ბლექბერნი | 1.90 | 1.80 |
| 14496 ბაზელი-ფეიენოორდი | 1.80 | 2.00 |
| 14497 აუსტრია-ზ ვარეგემი | 1.30 | 2.50 |
| 14498 სპარტა-ესპანიოლი | 1.80 | 2.00 |
| 14499 პანათინაიკოსი-ჰაპოელი | 1.20 | 2.60 |
| 14500 რაპიდი(ბ)-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 14501 აინტრახტი-პალერმო | 1.80 | 2.00 |
| 14502 ნიუკასლი-ფენერბაჩე | 1.60 | 2.30 |
| 14503 ლივორნო-რეინჯერსი | 1.70 | 2.20 |
| 14504 მაკაბი ჰ-ოსერი | 1.90 | 1.80 |
| 14505 ბეშიქთაში-ტოტენჰემი | 1.80 | 1.90 |
| 14506 ბრიუგე-ლევერკუზენი | 1.80 | 1.90 |
| 14507 ალკმაარი-ბრაგა | 1.30 | 2.50 |
| 14508 ლიბერეცი-სევილია | 2.10 | 1.70 |
| 14509 ოსასუნა-ჰერენვენი | 1.30 | 2.50 |
| 14510 ოდენსე -პარმა | 1.70 | 2.10 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15495 | ვისლა-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15496 | ბაზელი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15497 | აუსტრია-ზ ვარეგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15498 | სპარტა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15499 | პანათინაიკოსი-ჰაპოელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15500 | რაპიდი(ბ)-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15501 | აინტრახტი-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15502 | ნიუკასლი-ფენერბაჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15503 | ლივორნო-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | მაკაბი ჰ-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15505 | ბეშიქთაში-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15506 | ბრიუგე-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15507 | ალკმაარი-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 | ლიბერეცი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 | ოსასუნა-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15510 | ოდენსე -პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | |
|---|---|---|
| 16495 ვისლა-ბლექბერნი | 1.90 | 1.60 |
| 16496 ბაზელი-ფეიენოორდი | 1.50 | 2.15 |
| 16497 აუსტრია-ზ ვარეგემი | 1.21 | 3.20 |
| 16498 სპარტა-ესპანიოლი | 1.60 | 1.95 |
| 16499 პანათინაიკოსი-ჰაპოელი | 1.13 | 4.20 |
| 16500 რაპიდი(ბ)-პსჟ | 1.60 | 1.90 |
| 16501 აინტრახტი-პალერმო | 1.60 | 1.90 |
| 16502 ნიუკასლი-ფენერბაჩე | 1.30 | 2.70 |
| 16503 ლივორნო-რეინჯერსი | 1.40 | 2.45 |
| 16504 მაკაბი ჰ-ოსერი | 1.90 | 1.60 |
| 16505 ბეშიქთაში-ტოტენჰემი | 1.60 | 1.90 |
| 16506 ბრიუგე-ლევერკუზენი | 1.60 | 1.90 |
| 16507 ალკმაარი-ბრაგა | 1.25 | 3.20 |
| 16508 ლიბერეცი-სევილია | 2.25 | 1.50 |
| 16509 ოსასუნა-ჰერენვენი | 1.20 | 3.40 |
| 16510 ოდენსე -პარმა | 1.47 | 2.20 |

### გოლი:წყვილი-1 კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | |
|---|---|---|
| 17495 ვისლა-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17496 ბაზელი-ფეიენოორდი | 1.85 | 1.95 |
| 17497 აუსტრია-ზ ვარეგემი | 1.85 | 1.95 |
| 17498 სპარტა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17499 პანათინაიკოსი-ჰაპოელი | 1.85 | 1.95 |
| 17500 რაპიდი(ბ)-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17501 აინტრახტი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17502 ნიუკასლი-ფენერბაჩე | 1.85 | 1.95 |
| 17503 ლივორნო-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17504 მაკაბი ჰ-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17505 ბეშიქთაში-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17506 ბრიუგე-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17507 ალკმაარი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17508 ლიბერეცი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17509 ოსასუნა-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17510 ოდენსე -პარმა | 1.85 | 1.95 |

# ფაჩულიამ ორლანდო სარკეში ჩაახედა



ზაზა ფაჩულია ორლანდოელმა ჰედო თურქოღლუმ ვერ შეაჩერა

„ატლანტა ჰოუქსმა“ ისევ მოიგო საგამოფენო მატჩში და ზაზა ფაჩულიაც კვლავ უხვქულიანი იყო. რაც პირველ სეზონისწინა შეხვედრაში ქართველმა ცენტრმა ცოტა მოიკოჭლა, მას შემდეგ სტაბილურად ათამაშდა და „ქორებიც“ ძირითადად მისი და ჯო ჯონსონის შემწეობით იგებენ თამაშებს.

ატლანტელებს ამჯერად ყოჩაღი „საგამოფენო“ გუნდი შეხვდათ. „ორლანდო მეჯიქმა“, რომელიც, სხვათა შორის, ფაჩულიას პირველი ნბა-ური გუნდია, ყველა აქამდელი მატჩი მოიგო და, ცხადია, „ქორების“ მოთვინიერებასაც ეშურებოდა, მაგრამ ამაოდ დაშვრა.

საერთოდ, ფაჩულია ყოველთვის მარჯვედ თამაშობს „ორლანდოს“ წინააღმდეგ და ეს ტრადიცია არც ამჯერად დაურღვევია. რა მიხვედრა უნდა, რომ ქართველ ცენტრს სურს, ფლორიდელებს თავისი ძალა დაუმტკიცოს. თავის დროზე ხომ „ორლანდომ“ ხელი არ გაატოკა, როცა ქართველის შენარჩუნებაზე მიდგა საქმე. ჰოდა, ზაზამ კიდევ ერთხელ შეახსენა „მეჯიქს“, რომ მასთან მიმართებაში შეცდა.

ფაჩულიამ ამჯერად 26 წუთი ითამაშა, ყველაზე მეტი წლევანდელ საგამოფენო მატჩებში და შედეგიც დაეკვეხნება — 19 ქულა. ზაზა კვლავ კარგი შედეგიანობით ესვრის: 11-დან 7 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო 6-დან მხოლოდ ერთი ჯარიმა ააცდინა. ერთადერთი მოხსნებში მოიკოჭლებს. მისი გაქანების მეფარისთვის 4 მოხსნა არცთუ კარგი შედეგია.

ატლანტელებმა „ორლანდო“ საფინალო შტურმით დაამარცხეს. „მეჯიქმა“ მეორე მეოთხედში რომ მოიპოვა ლიდერობა, მერე 14 ქულითაც გაიჭრა, თუმც სირენამდე სამი წუთით ადრე „ქორებმა“ უპირატესობა დაიბრუნეს და საქმე სათავისოდ დააგვირგვინეს.

ფაჩულიას ძირითადად სამი წლის წინანდელი დრაფტის მეორე ნომერ დარკო მილიჩიჩთან უწევდა ბრძოლა, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ 4 ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ, გაილაღა ორლანდოელთა მეორე მეფარე დუაიტ ჰოვარდმა, რომელმაც 27 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა, მაგრამ ამით თავისიანებს ვერაფრით უშველა.

ატლანტელთაგან გამოსარჩევია ახალბედა შელდენ უილიამსი, რომელიც, სხვათა შორის, სწორედ „ორლანდომ“ დაიწუნა წლევანდელ დრაფტზე და ის საბოლოოდ „ქორებმა“ აიყვანეს. ჰოდა, ზაზასი არ იყოს, უილიამსმაც დაანახვა ფლორიდელებს, რომ არჩევანში შეცდნენ — ახალბედასთვის 12 ქულა და 10 მოხსნა გვარიანად კარგი შედეგია.

ფაჩულიას ამბები კი გვახარებს, მაგრამ საიმედო არაფერია ნიკა ცქიტიშვილისგან, რომლისთვისაც ალბათ ვერც „ნიუ იორკი“ იქნება ნუგეში. „ნიქსი“ მორიგ საგამოფენო მატჩში „ბოსტონ სელტიქსს“ ხვდებოდა და ამ მატჩს სათადარიგო სკამიდან უყურა ქართველმა ფორვარდმა.

„სკიტას“ ნიუიორკელებთან არაგარანტირებული კონტრაქტი აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბის ხელმძღვანელები ფიქრობენ, დაიტოვონ თუ არა ქართველი. სად უნდა გამოიცადოს მოთამაშე, თუ არა საგამოფენო მატჩებში?! ნიკას კი სკამზე ზის, რაც მას კარგს არაფერს უქადის.

**ირაკლი პერტაია**





# კასაბიევი ექვსი თვე ვერ იარსენებს

**ქართული ძალოსნობის მთავარი იმედი არსენ კასაბიევი ფიცარნაგზე სულ ცოტა, ნახევარი წელი ვერ გავა. ახალგაზრდებს შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა წელის ტრავმის გამო ახლახან ჩატარებული უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმაც მაშინვე გვითხრა, რომ საქმე მძიმედ იყო და კასაბიევს ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდებოდა. ნაკრები პოლონეთიდან თბილისში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა და ვანო გრიქუროვს იგივე საკითხზე კვლავ დავეკითხეთ**



— სამწუხაროდ, სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა. მარტო მკურნალობა არ კმარა, კასაბიევს ოპერაცია სჭირდება.

**— როდის და სად გაიკეთებს ოპერაციას?**

— სავარაუდოდ, ნოემბრის დასაწყისში, მაგრამ ზუსტად როდის და სად გაიკეთებს, ამას უახლოეს დღეებში გადავწყვეტთ.

**— საზღვარგარეთ იმკურნალებს?**

— ოპერაციას აუცილებლად უცხოეთში გაიკეთებს. ძალიან მძიმე ტრავმა აქვს, თან ხერხემლის და ვცდილობთ, მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტებს შორის გავაკეთოთ არჩევანი. გარდა იმისა, რომ უნდა გამოჯანმრთელდეს, არსენმა სარეკორდო სიმძიმეების შტანგის აწევაც უნდა შეძლოს. იგი ხომ ჩვენი ძალოსნობის ყველაზე დიდი იმედია.

**— პრაქტიკაში თუ შეგვხედრიათ სპორტსმენი, ასეთი ტრავმის შემდეგ დიდი შედეგებისთვის რომ მიეღწიოს?**

— რა თქმა უნდა. პოლონეთის ნაკრების ლიდერმა შიმონ კოლეცკიმ შარშანწინ გადაიტანა ანალოგიური ოპერაცია და უკვე მედლებისთვის იბრძვის. არ გამოვრიცხავ, კასაბიევსაც იმავე ექიმმა უმკურნალოს.

**— შეძლებს მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჩვეული ფორმის აღდგენას?**

— ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მკურნალობის დაწყებას ვჩქარობთ, ეგეცაა. ოპერაციის შემდეგ დაახლოებით 6 თვე უქმობა მოუწევს. მერე კი იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და წინსვლას სწრაფი ტემპებით დავიწყებთ. თუმცა ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია.

*ნაკრების თავკაცს კიდევ ერთ ტრავმირებულ შეგირდზე ზვიად სამუკაშვილზეც ვკითხეთ. ქართული გუნდის უმსუბუქეს წონის მხარი აწუხებს და გასულ კვირაში ოპერაციის გარდუვალობაზეც გავრცელდა ხმები, მაგრამ კასაბიევისგან განსხვავებით, სამუკაშვილის მდგომარეობა საიმედო ყოფილა.*

— ზვიადს სამი წლის წინ მიღებულმა ტრავმამ შეახსენა თავი, მაგრამ ამ ეტაპზე ოპერაციაზე არ ვფიქრობთ. ცოტა ხანს უნდა დავაკვირდეთ. შესაძლოა, მკურნალობაც საკმარისი აღმოჩნდეს.

*დასასრულ შევახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა დომინიკის რესპუბლიკაში ახლახან ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდური მე-18 ადგილი დაიკავა 73 ქვეყნის ნაკრებს შორის. თუ მომავალ წელსაც ანალოგიური შედეგი ექნება, სავარაუდოდ, პეკინის ოლიმპიადის ოთხ ლიცენზიას მიიღებს. გრიქუროვისვე თქმით, ვაკის დარბაზში სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულებულია და მისი პრეზენტაცია უახლოეს დღეებში მოეწყობა.*

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ჯერ ესპანეთი...



საქართველო — ესპანეთი 28 ოქტომბერს ვაკეში იქნება

**ახლა** არა და იქითა უქმეებზე ევროპაში საგაისო მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ლამის მთავარი კვირაა. 28 ოქტომბერს გაირკვევა, რომელი გუნდები დაწყვილდებიან შესარჩევი ტურნირის მეხუთე რაუნდში. მარტივად ავხსნით: ერთმანეთში მოლაპარაკებით გადაწყდა, რომ საქართველო ესპანეთს 28 ოქტომბერს ვაკეში, ქართული რაგბის ოდინდელი კერაზე, „ლოკომოტივზე“ უმასპინძლებს. იმავე დღეს ლისაბონში პორტუგალია ხვდება რუსეთს და ამათში გამარჯვებული საქართველო-ესპანეთში უკეთესს შეუწყვილდება.

თუ საქართველომ თბილისში მიანგრია ესპანეთი, რაც ლოგიკური და ასეც მოხდება, მაშინ შინ და გარეთ პრინციპით ერაგბება პორტუგალია-რუსეთს შორის გამარჯვებულს და აქ ნაყოჩაღარი პირდაპირ გადის მსოფლიოს თასზე. წაგებული კი შანს ინარჩუნებს: ევროპა — აფრიკა — ამერიკის რეპეშაჟში აგრძელებს მსოფლიოს თასის საგზურისთვის ბრძოლას.

საქართველოს აქამდეც შეეძლო მუნდიალზე პირდაპირ წასვლა პრაქტიკულად გაენაღდებინა, მაგრამ 7 ოქტომბერს ბუქარესტში რუმინეთთან 8:20 წააგო და საქმე აქამდე მიიყვანა. რუმინეთი კი პირდაპირ გავიდა მსოფლიოს თასზე, რაკი ჩვენების შემდეგ ესპანეთს სტუმრად 43:20 მოუგრიხა კისერი. პორტუგალია — რუსეთის სამგუნდა ჯგუფიდან მსოფლიოს თასზე პირდაპირ იტალია გავიდა, რომელმაც რიხინ-რიხინ ჯერ პორტუგალიას 23:6, ხოლო შემდეგ რუსეთს 67:7 გადაუარა, ჯგუფში იპირველა და სამუნდიალო საგზური გაინაღდა.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ამასაც მოესწრნენ

## პროფესიონალები ტურნირს მართავენ



დევიდ ტუამ კომერციული ჩხუბი იუარა

**თუ გსმენიათ**, რომ პროფესიონალ მოკრივეებს ტურნირი გაემართოთ? რა თქმა უნდა, არა. მოყვარულებში ეს ჩვეულებრივი ამბავია. პროფესიონალები კი თითო ბრძოლისთვის თვეობით ემზადებიან და წელიწადში რამდენიმე ბრძოლას თუ ატარებენ, ხოლო წელიწადზე გაწელილი ტურნირი აბა, სად გაგონილა?! მაგრამ ჩვენს დროში თურმე ესეც შესაძლებელი ყოფილა, ფული პროფესიონალს დღეში რამდენჯერმეც აჩხუბებს...

ავსტრალიის ქალაქი მელბურნი 1 ნოემბერს უპრეცედენტო ტურნირს უმასპინძლებს. 8 ელიტარული მძიმეწონოსანი ოლიმპიური სისტემით შეებმება ერთმანეთს და ტურნირის გამარჯვებულს ერთ დღეში გამოავლენს. მოკრივეებმა ერთმანეთს თავ-პირი რომ არ დაალეწონ და შემდეგი ბრძოლებისთვის ძალა შერჩეთ, შეხვედრები მხოლოდ 4-რაუნდიანი იქნება. ასე რომ, ფინალში გასულებს ჯამში 12 რაუნდი მოუწევთ.

საპრიზო ფონდი 6,5 მილიონს შეადგენს, ამასთან გამარჯვებული ლომის წილს, 5 მილიონს იღებს. ტურნირისთვის უკვე შეირჩა რვა მოკრივე — კრის ბერდი, კელვინ ბროკი, ოლივერ მაკკოლი, ჯამილ მაკლაინი, ტაიდ ფილდსი (ყველა აშშ), სამუელ პიტერი (ნიგერია), ონილ ბელი (იამაიკა) და ხუან კარლოს გომესი (კუბა).

სათქმელია ისიც, რომ ტურნირს შედეგები გავლენას არ მოახდენს მოკრივეთა რეიტინგებზე, რადგან იგი წმინდა კომერციულია.

მელბურნის ტურნირის ორგანიზატორები პოპულარულ ახალზელანდიელ მძიმეწონოსან დევიდ ტუასაც ეპატიჟებოდნენ, თუმც მან უარი თქვა, რაკიღა 3 ნოემბრისთვის შეხვედრა აქვს დანიშნული. ტუა ამერიკელ კელვინ დევისთან კრივობას აპირებს, რომელიც ორი წლის წინ ქვემძიმე წონაში ფედერაციის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი იყო, ბოლო ხანს კი მძიმე წონაში იბრძვის.

**კოტე ყორშია**

# კესლერს ოთხივე ქამარი მოუნდა

**დანიელ** საშუალოწონოსან მოკრივე მიქაელ კესლერს თავის წონაში მსოფლიოში უძლიერესის სახელისა და ტიტულის მოხვეჭა განუზრახავს და იმ საკრივო გაერთიანებების საჩემპიონო ქამრებზე უჭირავს თვალი, რომლებსაც ჯერ არ ფლობს. კესლერი უკვე გახლავთ საბჭოს (WBC) და ასოციაციის (WBA) ვერსიებით მეორე საშუალო წონაში (76 კილოგრამამდე) ჩემპიონი და ამ შაბათს ეს ქამრები მარკუს ბაიერის ხელყოფისგან წარმატებითაც დაიცვა. ახლა კი ის ფედერაციის (IBE) და ორგანიზაციის (WBO) საჩემპიონო ქამართა მფლობელ უელსელ ჯო კალზაგეს იწვევს რინგზე.

„ჩემთვის გაუგებარია, რატომ ცდილობს ჯო როი ჯონსონთან, ბერნარდ ჰოპკინსთან და სხვა ჩამოწერილ მოკრივეებთან შეხვედრას. მან ყური უნდა უგდოს კრივის გურმანების მოთხოვნას და რეალურად ძლიერ მებრძოლთან შეხვედრაზე დათანხმდეს."

**კოტე ყორშია**

ოლიმპიზმი

# რა დროს ოლიმპიადაა, როცა რამადანია

**ოლიმპიური** თამაშების მასპინძელი ქალაქის მესვეურნი, როცა მის ჩასატარებლად ვადებს ადგენენ, ათას წვრილმანს ითვალისწინებენ, უმთავრესი კი კლიმატური პირობებია. ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები ამინდზე მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად ყველაზე ხელსაყრელ პერიოდს ირჩევენ და მსოფლიოს სპორტსმენთა სამასპინძლოდ ვადებსაც ამგვარად ადგენენ. გამონაკლისნი ალბათ არც ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები იყვნენ, რომლებმაც ამ უდიდესი ფორუმის ვადები იმთავითვე ნისლიანი ალბიონის წვიმის „მოყვარული" დედაქალაქის კაპრიზების გათვალისწინებით განსაზღვრეს. ეს თარიღები საიდუმლო არავისთვის ყოფილა, მაგრამ მუსულმანური ქვეყნები ახლაღა ახმაურდნენ და დაბეჯითებით ითხოვენ, მისი ჩატარების დრო შეცვალონ, რადგან იგი ისლამური სამყაროს წმინდა რამადანის თვეს ემთხვევა.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს თხოვნა უკვე არაერთმა მაჰმადიანურმა ქვეყანამ გაუგზავნა. ამ იდეას მხარს უჭერენ თვით დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, ლონდონის ადამიანთა უფლებების დამცავი ისლამური კომისია და სამეფოს მუსულმანური საბჭო. ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებს აზრადაც არ მოუვიდოდათ, მაგალითად, თამაშების საშობაოდ გამართვაო. ისლამური სამყაროს წარმომადგენელთა აზრით, ასევე წინდაუხედაობაა ოლიმპიადის რამადანის დღეებში გამართვა, რადგან ამ შემთხვევაში ისლამის მიმდევარ ათლეტებს დანარჩენი სამყაროს წარმომადგენლებთან თანაბარი პირობები არ ექნებათ.

მუსულმანთა უფლებების დამცავნი იმასაც შეგვახსენებენ, რომ ისლამის ნორმების მიხედვით, წმინდა თვის განმავლობაში მორწმუნეებს ეკრძალებათ დღე-ღამის ნათელ მონაკვეთში ჭამაც და დალევაც.

როცა მუსულმანები ამბობენ, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებს აზრადაც არ მოუვიდოდათ, თამაშები საშობაოდ გაემართათო, მთლად მართალნი არ არიან. შესაძლოა, ასეთი იდეა სხვებს არ მოსვლოდათ თავში, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ინგლისელებზე, რომლებიც ფეხბურთში პრემიერლიგის მატჩებს გახურებულ საშობაო და ახალი წლის დღეებშიც არ წყვეტენ და გამონაკლისი ერთადერთი დღე, უშუალოდ შობის დღე აქვთ. ამიტომაც ძალიან საინტერესოა, მუსულმანთა თხოვნაზე რას მოიმოქმედებენ ლონდონელები.

ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი უკვე გამოთქვა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, როცა ისლამური ორგანიზაციების პრეტენზიები არ მიიღო. ოლიმპიზმის მთავარმა წამყვანმა ორგანიზაციამ ეს იმით ახსნა, რომ ოლიმპიადების იდეა ყველა ხალხსა და რწმენის ადამიანს აერთიანებს, რელიგიური აკრძალვები კი თავად სპორტსმენთა საქმეა.

ამასობაში ოლიმპიადა 2012-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ჯოანა მენინგ კუპერი ამბობს, რომ მუსულმანური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციები უკვე დაიწყო.

ვარაუდობენ, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მუსულმანური ქვეყნების 3000-ზე მეტი სპორტსმენი გამოვა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ავტორბოლა



# ბრიატორეს ბრაზილიაში ფეხბურთი გაახსენდა

**კვირას** ბრაზილიაში რბოლით დასრულდება მსოფლიოს 57-ე საპირველფორმულო ჩემპიონატი და გვირგვინოსნის ვინაობაც გაირკვევა.

ისე, გასარკვევიც თითქმის არაფერია. წინა, იაპონურ ეტაპზე სენსაციური გამარჯვების შემდეგ, ფერნანდო ალონსო ათი ქულით უსწრებს მიხაელ შუმახერს და მხოლოდ ფატალური უიღბლობა თუ დააკარგვინებს ზედიზედ მეორე ტიტულს. საამისოდ კი — რბოლა შუმიმ უნდა მოიგოს, ხოლო ნანდო უქულოდ დარჩეს.

ამის ალბათობა ლამის ნულის ტოლია. ასე თვლიან ბრიტანელი ბუქმეიკერებიც, რომლებიც ალონსოს ლამის ასპროცენტიან სატიტულო შანსს (1,05) აძლევენ მიხაელის 9,0-ის საპირისპიროდ.

საჩემპიონო ბრძოლას დასრულებულად თვლის სამგზის ტრიუმფატორი, ავსტრიელი ნიკი ლაუდაც: „მიხაელის შანსი ორ პროცენტამდე დაეცა, რადგან ათქულიანი ჩამორჩენა ძალიან ბევრია ერთი ეტაპისთვის. ამასთან, წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ შუმახერის მეწყვილე მასამ, ანდა ვინმე სხვამ ალონსოს ტრასიდან გაგდება სცადოს. ჩემს დროს ეს კიდევ იყო შესაძლებელი, ახლა კი წარმოუდგენელია, რადგან ტრასაზე ყველგან ტელეკამერებია, თანაც არა მგონია, ფელიპემ რაიმე ამგვარი მოიმოქმედოს და კარიერა გაიფუჭოს."

თავად მასა მზადაა, მიხაელს დაეხმაროს, ოღონდ, ცხადია, „ნორმალური" გზით: „სან პაულუში ჩემი გამარჯვება მიხაელს სატიტულო შანსს წაართმევს, ამიტომ თუ საჭირო გახდება, მე მას მოგებას დავუთმობ და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ბედნიერი ვიქნები, თუ მის დახმარებას შევძლებ."

მიხაელ შუმახერი: „ჩვენი მიზანია დუბლი ბრაზილიაში, ნებისმიერი სხვა შედეგი არ დამაკმაყოფილებს. „ფერარიმ" წლეულს დაიმსახურა კონსტრუქტორთა თასი და იმის გათვალისწინებითაც, რომ ეს რბოლა ჩემს 16-წლიან კარიერაში ბოლო იქნება, ცხადია, ძალიანაც მსურს, რომ ის ლამაზად და, რა თქმა უნდა, მოგებით დავასრულო."

ალონსოსა და „რენოს" ბოსი ფლავიო ბრიატორეც გამარჯვებაზეა დაქოქილი: „ბრაზილიაში მოსაგებად მივდივართ. ამჟამინდელ ვითარებაში საფეხბურთო ანალოგიას მოვიშველიებ — თუ უგოლო ფრის იმედზე ხარ, აუცილებლად წააგებ, ამიტომ მინიმალურ შედეგზე აქცენტს არ გავაკეთებთ ყოველ რბოლაში „რენოს" მთავარი მიზანი გამარჯვებაა და ბრაზილიაც გამონაკლისი არ გახდება. არ დაგავიწყდეთ ტელევიზორის ჩართვა, რბოლა საინტერესო იქნება."

**გია ახალაძე**

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

17 ოქტომბერი

**ედმონტონი 2:1 ვანკუვერი**

*2:0 0:0 0:1*

1:0 მორო (1), 2:0 ტორესენი (4), 2:1 ნესლუნდი (58)

**მონრეალი 5:4 კალგარი**

*2:2 3:2 0:0*

0:1 ბონკი (2), 1:1 ლომბარდი (8), 2:1 სურეი (14), 2:2 ლომბარდი (14), 2:3 კობასიო (21), 3:3 ფანეფი (28), 4:4 სურეი (30), 5:4 კოვალიოვი (36)

**ბუფალო 9:1 ფილადელფია**

*0:0 6:0 3:1*

1:0 ვანეკი (21), 2:0 შპაჩეკი (31), 3:0 დრური (32), 4:0 რუა (35), 5:0 ტალინდერი (37), 6:0 აფინოგენოვი (38), 6:1 კარტერი (42), 7:1 რუა (42), 8:1 ნოვოტნი (44), 9:1 ვანეკი (45)

**სან ხოსე 2:0 დალასი**

*1:0 1:0 0:0*

1:0 მიხალეკი (14), 2:0 ბელი (37)

**სენტ ლუისი 2:5 ფინიქსი**

*1:1 0:1 1:3*

0:1 დოუნი (10), 1:1 დვორჟაკი (14), 1:2 სკატჩარდი (34), 1:3 კომრი (43), 2:3 რუჩინსკი (53), 2:4 ნოლანი (55), 2:5 ზიგომანისი (60)



ბუფალოელებმა ფილადელფიასთან მატჩში ცხრაჯერ გაიხარეს

# ივან ბასო და CSC ერთმანეთს შეელივნენ



**წლევანდელი** „ჯირო დიტალიას" გამარჯვებული, იტალიელი ივან ბასო, ვინც ესპანელი ექიმის ეუფიმანიო ფუენტესის ირგვლივ ატეხილ დოპინგ-სკანდალთან დაკავშირებული ეჭვების გამო „ტურ დე ფრანსის" დაწყებამდე იძულებით ჩამოაშორეს რბოლებს, დანიურ CSC-ის დაშორდა.

შეგახსენებთ, რომ დანიური ველოგუნდის შეფებმა ბასო წლევანდელი „ტურის" დაწყების წინა დღეს მოკვეთეს გუნდიდან, მაგრამ შემდეგ იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ეროვნულმა ანტისადოპინგო სააგენტომ 29 წლის მრბოლი უდანაშაულოდ ცნეს.

გუშინ ბასო CSC-ის ბოსს, 1996 წლის „ტურის" ჩემპიონ ბიარნე რიისს შეხვდა და გადაწყდა, რომ იტალიელი გაწყვეტს დანიურ გუნდთან კონტრაქტს, რომელიც 2008 წლამდე მოქმედებდა.

როგორც თავად მრბოლმა განაცხადა, მას უკვე აქვს შემოთავაზებები, კერძოდ ამერიკული „დისქავერისა" და იტალიურ-გერმანული „მილრამისგან". „მე ყოველთვის მინდოდა CSC-ში ყოფნა, რადგან აქ თავს კომფორტულად ვგრძნობდი, მაგრამ ცხოვრება გრძელდება — ჩემი, როგორც ველოსიპედისტის მიზანი „ტურ დე ფრანსის" მოგებაა" — ბრძანა ფრანგული „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში იტალიელმა.

აღსანიშნავია, რომ „ტურის" საორგანიზაციო კომიტეტს 2007 წლის „დიდი მარყუჟის" პრეზენტაცია 27 ოქტომბრისთვის აქვს დაგეგმილი პარიზის კონგრესების სასახლეში და ჯერჯერობით, ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ბასოსთვის მიწვევა არ გაუგზავნია.

# იბანმა ბასკებს უგანა



იბან მაიო

**ცნობილი** ესპანელი მრბოლი იბან მაიო გუნდს იცვლის და ბასკური „ეუსკალტელი-ეუსკადიდან", რომლის ღირსებასაც წლების მანძილზე იცავდა, მეორე ესპანურ ველოგუნდ „სონი დიუვალიში" გადადის.

29 წლის ველოსიპედისტის კარიერაში ყველაზე დიდი მიღწევა 2004 წელს მოგებული პოპულარული ერთკვირიანი რბოლა „დოფინი ლიბერეა". რაც შეეხება სუპერრბოლებს, 2003 წლის „ტურ დე ფრანსზე" მაიომ მე-6 ადგილი დაიკავა და მომავლის ჩემპიონად შერაცხეს, მაგრამ ბოლო წლებში ტრავმებმაც შეუშალა ხელი, წარმატებებს ველარ მიაღწია და კრიზისიდან გამოსვლის მიზნით გუნდის შეცვლა გადაწყვიტა.

„ვფიქრობ, რომ „სონი დიუვალი" უკეთეს პირობებს შემიქმნის და ასეთ შემთხვევაში მომავალი წლის „ტურზე" წარმატების კარგი შანსი მექნება" — განაცხადა მაიომ.



# ბახმა ბავშვებს ბათუმი დაუმალა

**ბათუმში** მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი რუსი მოჭადრაკეების გარეშე ჩაივლის.

„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გვირჩია, რომ საქართველოში არ ჩავსულიყავით. არ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენ ბავშვები იქ უსაფრთხოდ იქნებიან" — განაცხადა რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრ ბახმა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა პრეზიდენტმა აკაკი იაშვილმა რუსებს უსაფრთხოების გარანტია მისცა, თუმც ჩვენს მეზობლებს მიზეზთა გამო ამის დაჯერება არ უნდათ და ბავშვებს ბათუმში არ უშვებენ.

ბახმა ჩემპიონატში მონაწილეობას მივიღებთ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გათამაშებას სხვა ქვეყანაში გადაიტანენო.

**ლაშა ბებეშძორი**



**TENNIS MASTERS**

მადრიდი. ესპანეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 2 450 000 $

**პირველი წრე**

**მარატ საფინი** (რუსეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 6:7 6:3; **იოახიმ იოჰანსონი** (შვედეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:4 6:4;

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3 6:2; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — მარიო ანჩიჩი (12, ხორვატია) 7:6 7:6; **დავიდ ნალბანდიანი** (4, არგენტინა) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთის) 6:7 6:2 7:5; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — დავიდ ფერერი (14, ესპანეთი) 6:1 4:6 6:1; **ფერნანდო გონსალესი** (10, ჩილე) — პარადონ შრიჩაპანი (ტაილანდი) 7:5 6:7 6:4; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:4 7:6; **ტომი ჰაასი** (13, გერმანია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3 7:6; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) 6:4 3:6 7:6

ციურიხი. შვეიცარია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — პატი შნიდერი (6, შვეიცარია) 6:2 7:5; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 3:6 6:4 6:1; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (7, ჩეხეთი) 6:2 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (8, იტალია) — მეილენ ტუ (აშშ) 6:2 6:1; **ტიმეა ბაჩინსკი** (შვეიცარია) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:3 6:3

**მეორე წრე**

**ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 7:6 6:3

# ბლეიკს გაუწყდა, ანჩიჩს გაუტყდა



დანიელა ჰანტუხოვამ მასპინძლები დაალონა

განთესილთა ცოდვის ტრიალი იყო გუშინ მადრიდში — ესპანეთის დედაქალაქი მიყოლებით დატოვეს მარიო ანჩიჩმა, დავიდ ფერერმა და ჯეიმს ბლეიკმა.

ანჩიჩის წაგებით დავიწყოთ, რადგანაც ამ წარუმატებლობით ხორვატმა შანხაიში მოხვედრის ისედაც მიზერული შანსები, ფაქტობრივად, ნულს გაუტოლა. მარიომ რობი ჯინეპრის ვერაფერი დაუპირისპირა და ორ სეტში წააგო.

ბალკანელისთვის სამწუხაროდ, მისმა ერთ-ერთმა უშუალო კონკურენტმა დავიდ ნალბანდიანმა მოიგო და ფაქტობრივად გაინაღდა ჩინეთში გამგზავრება. არგენტინელს ძალიან კი გაუჭირდა ჟულიენ ბენეტოსთან, მაგრამ გადამწყვეტი სეტის მიწურულს თავისთვის აუცილებელი ბრეიკი გააკეთა და მესამე წრეშიც გავიდა.

ყველაზე მოულოდნელი კი მაინც ჯეიმს ბლეიკის მარცხია. შავტუხა იანკი ხომ ამ ბოლო დროს მშვენიერ ფორმაში იყო — ზედიზედ 10 მატჩი არ წაეგო და ბოლო ორ კვირაში ორი ტიტული მოეპოვებინა. თუმც კრისტოფ ვლიგენი არ შეუშინდა ავტორიტეტს, მაგრადაც იომა და... ბლეიკმა მადრიდს ხელი დაუქნია.

დავიდ ფერერის ცოდვა კი ტიმ ჰენმანის კისერზეა. ვეტერანი ბრიტანელი მართლაც რომ სოლიდურად გამოიყურება.

სამაგიეროდ, როჯერ ფედერერი არ აპირებს წაგებას. შვეიცარიელმა მადრიდშიც ჩვეულად დაიწყო. „მხიარული როჯერის" პირველი მსხვერპლი კი ნიკოლას მასუ აღმოჩნდა.

ეს წლეულს ფედერერის 78-ე გამარჯვებაა და თავის საუკეთესო მაჩვენებლის (81 მოგება) გასაუმჯობესებლად 4 მატჩის მოგებაღა სჭირდება.

მოგეხსენებათ, მესამე წელია, ფედერერი პირველი ნომრის სტატუსით ამთავრებს სეზონს. გარდა ამისა, ერთი ტურნირის მოგებაღა სჭირდება, რომ ზედიზედ მესამედ მოახერხოს ერთ სეზონში 10 და მეტი ტიტულის მოპოვება. ასეთი რამ კი ბოლოს 1981-83 წლებში ლეგენდარულმა ივან ლენდლმა მოახერხა.

მესამე წრეში გავიდა ენდი როდიკიც, რომელიც მართლაც კარგ ფორმაში არის და ეს სებასტიან გროჟანთან შეხვედრაშიც დაამტკიცა, როცა ფრანგს სულ რაღაც 88 წუთში გაუსწორდა. ისე, ენდიბოის გროჟანთან თამაში ყოველთვის კარგად გამოსდიოდა — 9 ურთიერთშეხვედრიდან ამერიკელმა 8-ში იმარჯვა.

განთესილებს ტკბილად არც ციურიხში ჰქონიათ საქმე — შვეიცარიაშიც ბევრი მოულოდნელობა მოხდა.

ადგილობრივებს ყველაზე მეტად პატი შნიდერის წაგებამ დასწყვიტა გული. მან საერთოდ ვერაფერი დაუპირისპირა არასტაბილურ დანიელა ჰანტუხოვას, ჩატარებულ 5 დაპირისპირებაში კი სლოვაკმა მეოთხედ მოუგო შნიდერს.

ციურიხი ნიკოლ ვაიდიშოვასაც დაატოვებინეს. თინეიჯერი ჩეხი სეზონის მიწურულს ძალიან გადაიღალა. აბა, სხვა რას უნდა დავაბრალოთ ყოველთვის ბოლომდე მებრძოლი ჩეხის უსახური წაგება ტატიანა გოლოვინთან.

ანასტასია მისკინას კი ჯობდა, გადაწყვეტილება არ შეეცვალა და კორტებზე არ მობრუნებულიყო. საქმე ისაა, რომ ნასტიამ ორიოდე კვირის წინ განაცხადა, გადავიღალე და შემდეგ წლამდე არ ვითამაშებო, თუმც აზრი შეიცვალა და სირცხვილიც ჭამა — სრულიად უცნო ტიმეა ბაჩინსკის მხოლოდ სამიოდე გეიმი აართვა.

**კახა ლომაშვილი**

# დაიწყეს და...

**წარუმატებელი** გამოდგა ეს კვირა ქართველი ჩოგბურთელებისთვის. ამ კვირის ტურნირებზე ისედაც მხოლოდ სამი ჩვენებური თამაშობდა და სამივე მათგანმა ნაადრევად დაასრულა ასპარეზობა.

ლათინურ ამერიკაში, კერძოდ კი კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მიმდინარე 75 ათასიანი ჩელენჯერის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე, გადამწყვეტ წრეში ლადო ჩიხლაძემ ვერ ივარგა და ძირითად ბადეში გასვლა ვერ მოახერხა, ხოლო ქალებმა — მაკა ჩახნაშვილმა და სალომე დევიძემ სულაც პირველივე შეხვედრები წააგეს.

მაკა საფრანგეთში, სენტ-რაფაელში ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50 ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში იყო და პირველ წრეში 4:6 4:6 დამარცხდა 19 წლისა და WTA-ს რეიტინგში 127-ე ადგილზე მყოფ იტალიელ კარინ კნაპთან, ვისაც წელს, უკვე არაერთხელ შეხვდა, რამდენჯერმე მოუგო კიდეც, მაგრამ ამჯერად ვერაფერს გახდა.

დევიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰიუსტონის ჰარდზე, ასევე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50 ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან ცდილობდა მოხვედრას, მაგრამ პირველივე წრეში 6:7 2:6 დამარცხდა კლასიფიკაციაში მასზე 160 ადგილით მაღლა, 434-ე პოზიციაზე მყოფ 23 წლის რუსთან ოქსანა კარიშკოვასთან.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## A ჯგუფი

### ჩელსი 1:0 ბარსელონა

1:0 დროგბა (47)

ჩელსი: ილარიო, ბულარუზი, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, ბალაკი, შევჩენკო (რობენი 77), დროგბა (ს. კალუ 90)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი (ოლეგერი 74), მარკესი, ვან ბრონკჰორსტი (ინიესტა 56), ხავი, ედმილსონი, დეკუ, რონალდინიო, მესი, გუდიონსენი (ჟიული 60)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ვან ბრონკჰორსტი, ლამპარდი, ხავი, დეკუ

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

40 599 მაყურებელი

### ვერდერი 2:0 ლევსკი

1:0 ნალდო (45), 2:0 დიეგო (73)

ვერდერი: ვიზე, ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე (კლასნიჩი 46), ვრანიეში (ანდრეასენი 73), ფრინგსი, შულცი, დიეგო, კლოზე (უგო ალმეიდა 82), ჰუნტი

მწვრთნელი: თომას შააფი

ლევსკი: პეტკოვი, ანგელოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი, ვაგნერი, ტელკისკი (კოპრივაროვი 79), ბორიმიროვი, ბარდონი, ერომოიგბე, იოვოვი (დიმიტროვი 79), დომოვჩისკი (მ. ივანოვი 64)

მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი

გაფრთხილება: ფრიცი, ტომაშიჩი, ბორიმიროვი

მსაჯი: პოლ ალერტსი (ბელგია)

36 246 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:2 | 4 |
| ვერდერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლევსკი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

## B ჯგუფი

### ინტერი 2:1 სპარტაკი

1:0, 2:0 კრუზი (2, 9), 2:1 პავლიუჩენკო (54)

ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, ძანეტი, ფიგუ (ადრიანო 69), ვიეირა, დაკური, სტანკოვიჩი, რეკობა (ბურდისო 58), კრუზი (სამუელი 90)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

სპარტაკი: კოვალევსკი, შიშკინი, ჟირანეკი, ჟედერი, კ. როდრიგესი, ბისტროვი (კალინიჩენკო 75), მოცარტი (ოვუსუ-აბეიე 46), ტიტოვი, კოვაჩი, ბოიარინცევი, პავლიუჩენკო

მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი

გაფრთხილება: როდრიგესი, ფიგუ, კალინიჩენკო

მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

30 000 მაყურებელი

### სპორტინგი 0:1 ბაიერნი

0:1 შვაინშტაიგერი (19)

სპორტინგი: რიკარდუ, მ. კანეირა, ტონელი, ანდერსონ პოლგა, რ. ტელო, მუტინიუ, ველოზო (პარედესი 70), ნანი, მარტინში (დიალო 46), ბარბოსა (ბუენო 57), ლიდსონი

მწვრთნელი: კარლუშ პერეირა

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, სანტა კრუზი (სალიჰამიჯიჩი 50), ვან ბომელი, ოტლი (დემიკელისი 46), შვაინშტაიგერი, პოდოლსკი (ხ. დოს სანტოსი 65), კ. პიზარო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: შვაინშტაიგერი, ოტლი, ტელო, შვაინშტაიგერი, ლიდსონი, ველოზო, ვან ბომელი, დოს სანტოსი

გაძევება: შვაინშტაიგერი (47)

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

37 379 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ინტერი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## C ჯგუფი

### ბორდო 0:1 ლივერპული

0:1 კრაუჩი (58)

ბორდო: რამე, ჟურიეტი, ენრიკე, ჟემალი, ვენდელი, ა. ალონსო (ფობერი 64), მავუბა, მიკუ, ფერნანდო, ლასლანდი (შამახი 63), დარშევილი (პერეა 71)

მწვრთნელი: რიკარდო გომეში

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ლუის გარსია, ხაბი ალონსო, ზენდენი, მარკ გონსალესი (სისოკო 69), კრაუჩი (კუიტი 65), ბელამი (უორნოკი 87)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ჟურიეტი, ზენდენი, რამე, კუიტი

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

31 471 მაყურებელი

### გალათასარაი 1:2 პსვ

1:0 ილიჩი (19), 1:1 კრომკამპი (59), 1:2 კონე (72)

გალათასარაი: მონდრაგონი, საბრი, რ. სონგი, ტომაში, ორჰანი, აიდინი (ჯიჰანი 67), აიჰანი, ინამოტო, თურანი, უმით ქარანი (შუქური 70), ილიჩი (ნეჯათი 70)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

პსვ: გომეში, კრომკამპი, ალექსი, სალსიდო, რაიციგერი, კულინა (აისატი 90), მენდესი (ვაირინენი 62), სიმონსი, კოკუ, ა. კონე, ფარფანი

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: სალსიდო, ორჰანი, აიჰანი, ტომაში

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

54 425 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| პსვ | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| გალათასარაი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| ბორდო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |

## D ჯგუფი

### ოლიმპიაკოსი 0:1 რომა

0:1 პეროტა (76)

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ჟევლაკოვი, ანატოლაკისი, ჟულიო სეზარი, გეორგატოსი, კასტილიო, კაფესი (მარიჩი 61), სტოლტიდისი, ჯორჯევიჩი (ოკასი 70), რივალდო (ბორხა 83), კონსტანტინუ

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

რომა: დონი, პანუჩი, ფერარი, კივუ, ტონეტო, კასეტი (როზი 66), ფატი (აკვილანი 77), დე როსი, პეროტა, ტადეი (დეფენდი 90), ტოტი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ტონეტო

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

33 500 მაყურებელი

### ვალენსია 2:0 შახტარი

1:0, 2:0 ვილია (31, 45)

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, რ. ალბიოლი, დ. ნავარო, მორეტი, ხოაკინი, ალბელდა, ედუ (ხ. ლოპესი 53), რეგეირო (გავილანი 64), მორიენტესი, ვილია (სილვა 77)

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

შახტარი: პლეტიკოშა, სვიდერსკი, ჩიგრინსკი, ლეონარდო, რაცი, ფერნანდინიო (ვორობეი 83), ტიმოშჩუკი, ჟადსონი (ჰუბშმანი 46), მატუზალემი, მარიკა, აგაჰოვა (ბრანდაო 46)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: სვიდერსკი, ტიმოშჩუკი, ალბელდა, მარიკა, ბრანდაო, სვიდერსკი

გაძევება: სვიდერსკი (76)

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| შახტარი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |

# ვალენსიას ჰყავს პანჩო ვილია

## ძველი ლექსი კანზე: არ გადის გოლი, კარში დგას ოლი



AFP ფოტო

ილარიო: „ჩელსის“ მესამე მეკარე, რომელმაც პირველივით ითამაშა

**2005 წლის** 9 მარტს „ბარსელონამ“ „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსისთან“ 2:4 წააგო. „ბარსა“ იმავე სტადიონზე და იმავე გუნდთან გუშინაც დამარცხდა, შუალედში კი, რაც 20 თვეს შეადგენს, ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ წაუგია!

20-თვიანი და 15-მატჩიანი წაუგებელი სერია ჩემპიონთა თასის მფლობელს კოტდივუარელი დიდიე დროგბას ძალიან ეფექტურმა გოლმა შეაწყვეტინა, ვინაც პასი ეშლი კოულისგან მიიღო, საჯარიმოს ხაზთან შემოტრიალდა და ცხრიანში ჩააჭედა. არადა, თამაში თუ ნახეთ, გეხსომებათ, რომ პირველ ტაიმში იყო ეპიზოდი, ტრავმირებულ დროგბას თამაში თითქოს ველარც უნდა გაეგრძელებინა — ფეხი პირდაპირი გაგებით ეკვეთებოდა და ხელშესაშველებელი იყო.

დროგბამ ძალა მოიკრიბა, სტუმრებს კი გოლის მერე უძლურობა დაეტყოთ და ლონდონელთა დაცვის კი არა, ნახევარდაცვის ზღუდის გადალახვაც კი უიმედო საქმედ უჩანდათ.

ევროპის საკლუბო ჩემპიონის მარცხი ლონდონის გარდა, ცხადია, ბრემენშიც დიდად ემათ, რაკი „ლევსკის“ ძლევით „მუსიკოსები“ ქულებით „ბარსელონას“ გაუტოლდნენ.

ამ თამაშში ორივე გერმანული გოლი ბრაზილიელებმა გაიტანეს, ამათგან პირველი კი საჯარიმო დარტყმას მოყოლებული რიკოშეტით.

„ჩელსისამებრ“ 9-ქულიანებად კი წუხელ „ვალენსია“ და „ბაიერნი“ იქცნენ.

ესპანელებმა, უპირველესად დავიდ ვილიას დიდებული თამაშის გამოისობით დაჯაბნეს „შახტარი“ და ისიც ვთქვათ, რომ ორი იმდენი ნაღდი მომენტი გასაოცრად გაანიავეს. უკრაინელებს ამ მატჩში ფეხბურთელიც გაუძევეს მეტოქისთვის იდაყვის ჩარტყმისთვის.

ამგვარად, „შახტარმა“ მიჯრით მერვე საგარეო მატჩი წააგო ლიგაში, დავიდ ვილია კი ერთხელაც ვახსენოთ — ორი გოლის გამტანს ჰეთ თრიქის შესრულება ძელმა არ დაანება.

„ვალენსიას“ ჯგუფში მეორეადგილოსნობა „რომამ“ გაიმყარა. „კარაისკაკისზე“ მასპინძლებს ხელსაყრელი მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენეს. იტალიელთა მარგი ქმედების კოეფიციენტი გაცილებით მაღალი აღმოჩნდა — ნაკლებს უტევდნენ, გოლი კი გაიტანეს. სიმონე პეროტას საგოლე პასი შეცვლაზე შესულმა ალესანდრო როსიმ მისცა.

„ბაიერნს“ ბასტიან შვაინშტაიგერი გაუძევეს მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე, მაგრამ „სპორტინგს“ ამათ არაფერი რგებია — ოლივერ კანი ისე იდგა კარში, თითქოს საუკეთესო წლები ახლა უდგასო. მხოლოდ ერთ ეპიზოდში იყო ვეტერანი მეკარე უძლური და მაშინაც ძელი მოევლინა მხსნელად.

ერთი სიტყვით, კანი მატჩის გმირი გახდა, რა თქმა უნდა, შვაინშტაიგერთან ერთად, ვინაც თავისი საქმე გაძევებამდე გააკეთა — „ქართული“ გოლი გაიტანა.

ამ ჯგუფში პირველი თამაში მოიგო „ინტერმა“, რომელმაც რუსთა ერთ დროს „სახალხო გუნდი“ დაამარცხა.

როცა მე-9 წუთზე ორი ბურთით იგებ, ძნელი წარმოსადგენია, რამე საფრთხე დაგემუქროს, მაგრამ ერთი ბურთის გაქვითვის მერე „სპარტაკს“ კიდევ ჰქონდა მომენტი და „ინტერს“ ქომაგთა საშინელი რისხვა დაატყდებოდა თავს, მეკარე ხულიო სესარს რომ არ ევარგა.

ხულიო კრუზის ორი გოლიდან კი პირველი გამორჩეულად ეფექტური იყო — ბურთი ჩარიჩას მოხვდა და ისე ჩაეშვა კარში. დარტყმაც ყუმბარასავით იყო და ხმაც სათანადო ჰქონდა.

ბოლოს კი ჯგუფი, რომელშიც გუშინ სტუმართა დღე იყო.

ბორდოში მოსაწყენი პირველი ტაიმის მერე ლივერპულელთა გრძელფეხა კრაუჩმა გაიტანა ერთადერთი გოლი. ეინდჰოვენელებს კი საქმე უფრო რთულად ჰქონდათ — სტამბოლელი ილიჩის გოლის მერე პსვ-ს მოსაგებად უკვე ორი ბურთი სჭირდებოდა.

„ვშიშობდი, ადრიანი გოლი არ გაგვეშვა — აღიარა ნამატჩევს რონალდ კუმანმა — მაგრამ ბიჭებმა დაძაბულობა მოიხსნეს და აი, შედეგიც“.

**კოტე კეკელია**



AFP ფოტო

რა დიდი იყო ერთ დროს რივალდო...

## სლოვენია

**პირველი ლიგა. XIV ტური**

ბელა კრაინა 0:0 ნაფტა
დრავა პტუი 0:2 ფაძტორი
დომჟალე 3:2 კოპერი
პუბლიკუმი 2:0 პრიმორიე
ნოვა გორიცა 1:4 მარიბორი

## ფინეთი

**თასის ნახევარფინალი**

ჰიკ 2:1დ.დ.(1:1) ტამპერე
ტურკუ 0:1 კპვ

## ამხანაგური მატჩი

ურუგვაი : ვენესუელა გადაიდო

## ინგლისი

**ჩემპიონატი**
**XII ტური**

კოლჩესტერი 4:0 უენსდი

## დანია

**სუპერლიგა. XII ტური**

ბრონდბიუ 1:1 სილკებორგი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge